

**დიაუხის ქვეყნის ნაფუძარზე:
შუა საუკუნეების ქართული ცენტრები
ისტორიულ ტაოში**

ვუძღვნი გიორგი ქავთარაძის ხსოვნას

ურარტულ წყაროებში დამონმებული ტოპონიმების დაზუსტება-იდენტიფიცირება არა ერთი თაობის მეცნიერთა ინტერესს წარმოადგენდა; მათ შორის, შაშილუ, შეშეთი, ზუა(ნი), უტუხაი – დიაუხის ის ცენტრებია, რომლებიც, შესაძლოა, წინარექართული სახელმწიფოების დაარსების საწყისებს უკავშირდებოდეს და მოხსენიებულია ძვ.წ. 810-785/780 წწ. ურარტუს მეფის, მინუას/მენუას წარწერებში: „მინუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრიე). მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუა(მდე). ქალაქი უტუხაი“ (იაზილითაში. წარწერა კლდეზე. უ-8).¹ „მინუა ამბობს: დავიპყარი ქალაქი შაშილუ, აღვუმართე ეს წარწერა ხალდის, ჩემს ბატონს“ (ზივინი. წარწერა ქვის ფილაზე, რომლის ორი ფრაგმენტი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. უ-9). ხუშა(ნი), ბია(ნი), ულთუზა, აშკალაში, ულდინი (დიდი), ქვეყნის კარი, კადა (ქადა), ზუასთან და შაშილუსთან ერთად, მოიხსენიება მინუას ძის, არგიშთი I-ის, ხოლო ხუშალხი და კულხა – არგიშთის ძის, სარდური II-ის წარწერებში.

არგიშთი I მინუას ძის წარწერები (ძვ.წ. 785/80-756): (მეფობის II წელი) „მოვედი (?) ბიას ქვეყანამდე... ხუშანის ქვეყანა[მდე]. გავემართე მე (სალაშქროდ) ულდინის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. ნავედი მე ქვეყნის კარით აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ... სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა კადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუს ქვეყანა“ (ვანის სურბსაჰაკის ეკლესიაში ორ ქვაზე ნაპოვნი წარწერები, უ-12.2).² მეფობის II-III წლის ლაშქრობისას ასევე ნახსენებია ულთუზას დაპყრობაც: „სძლია მან

¹ Salvini, *CTU*; Salvini, *Corpus*, გვ. 111-134; გორდეზიანი, *ანტიკური*, გვ. 26; Gordeziani, *Traces*, გვ. 317.

² გორდეზიანი, *ანტიკური*, გვ. 27-28; გ. მელიქიშვილთან ულდინი მოხსენიებულია როგორც დიდი, ხოლო კადა – როგორც ქადა. შდრ. Меликишвили, *УКН*, გვ. 212, 247, 235; მისივე, *Наура-Урарту*, გვ. 215.

[...] ულთუზას ქვეყანას“ (უ-12.3).¹ 1985 წელს ისტორიულ ერუშეთში, ჰანაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე აღმოჩენილი და 1992 წელს გამოქვეყნებული ქვის წარწერა ქართულად თარგმნა ლ. გორდეზიანმა: „არგიშთი ამბობს: [...] მივალნიე ხუშას (ქვეყანას), ბიას (ქვეყანას), მივედი აშკალაშის ქვეყანაში“ (მეფობის XIX წელი [?]. უ-13).²

სარდური II არგიშთის ძის წარწერები (ძვ.წ. 756-730): „[სარდური ამბობს]: გავემართე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ღვთაება ხალდის სიდიადით ხახანი, ხუშალხის ქვეყნის მეფე (მისი) ხალხი(თურთ) მე იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოვრეკე (და) დავასახლე ჩემს ქვეყანაში. [...] იმავე წელს (ჩემი) ჯარები გაემართნენ (სალაშქროდ) აბილიანის ქვეყნის წინააღმდეგ“ (სურბ-საჰაკის წარწერა, უ-29.3).³

არსებული წყაროებისა და კვლევების ანალიზის, ისტორიულ ატლასებსა და სატელიტურ ონლაინ google-map-ზე ტოპონიმების დადარებისა და მხარის არაერთგზის მონახულების საფუძველზე, სტატიაში წარმოდგენილია დიაუზის თითოეული ზემოხსენებული ქალაქისა თუ „ქვეყნის“ ლოკალიზაციის მცდელობა: 2018 წლის 4 თებერვალს ისტ. ტაოში, თორთომის ხეობაში, იშხნიდან, ოპკიდან, ხახულიდან და უზუნდერეს აღჯა-ყალედან (დღევ. *Engüzekkapı kalesi*) „ქართული კარის“ (*Gürcü kapısı*), არზრუმისა და ბასიანის (დღევ. ჰასანკალე-ჰასინლერ) გავლით იაზილითაშისა (ჰორასანიდან დაახლ. 40 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ზივინის (დღევ. ყარაურგანთან,⁴ ჰორასანიდან 34 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით და წარმანიდან 72 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით) მიმართულებით სარიკამიშში მიმავლებმა ის კლდეებიც დავაფიქსირეთ, რომლებიც, ადგილობრივების განმარტებით, ურარტულ მეფეთა წარწერებით იყო ცნობილი (რუკა 1⁵).

ვინაიდან მინუას ზემოხსენებული წარწერები ერთმანეთისგან 63 კმ-ით დაშორებულ იაზილითაშსა და ზივინშია (ყარაურგანთან) მიკვლეული

¹ გორდეზიანი, *ანტიკური*, გვ. 28.


² Dinçol A. M., Dinçol B., *Die Urartäische Inschrift*, გვ. 109-117; გორდეზიანი, *ურარტული წარწერა*, გვ. 331-336; გორდეზიანი, *ანტიკური*, გვ. 30.

³ იქვე, გვ. 32.

⁴ ყარაურგანთან გადიოდა, თავის დროზე, რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო ზოლი. 1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის პარალელურად, რომლის მეოთხე მუხლის ძალითაც რუსეთს უნდა დაეტოვებინა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები, ოსმალეთის რაზმებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს ამიერკავკასიის მაშინდელი სასაზღვრო ზოლები – ტრაპიზონი, ერზერუმი და ყარაურგანი (კოხრეიძე, *ოსმალეთის*, გვ. 55-62).

⁵ სტატიაში აქ და ყველგან გამოყენებული *GoogleMap*-ის აღნიშვნები (წითელი, მწვანე და ყვითელი ფერით გამოსახული „გული“, „ვარსკვლავი“ და „ალამი“) თუ პუნქტებს შორის მანძილისა და მათი დაფარვის დროის მონაცემები ახდენს ისტორიულ საქართველოსთან (ტაო-კლარჯეთთან) დაკავშირებული სხვადასხვა პუნქტების იდენტიფიცირებას და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ თვალსაჩინოების მიზნებს.

(რუკა 1), ზუას – ზივინის, ხოლო შაშილუს – იაზილითაშის ადგილას ათავსებდნენ, დიაუხის საზღვრებს მიღმა, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. არეზის (არაქსის) ხეობაში, როგორც ეს აღნიშნულია სომხეთის სსრ ატლასის (1961 წ.) ძვ.წ. VIII-VII სს. ურარტუს რუკაზე (რუკა 2).¹ წ. არუთუნიანი არ გამორიცხავს, რომ ურარტუელებს აღნიშნული წარწერა დიაუხის სამფლობელოთა ფარგლებს გარეთ, ურარტუსკენ მიმავალი იმ გზის პირას დაეტოვებინათ, რომელსაც აკონტროლებდნენ. გ. ქავთარაძისთვის კი იაზილითაშის წარწერაში შაშილუსთან ერთად შეშეთის, ზუასა და უტუხაის მოხსენიება „უფრო მდ. ჭოროხის შუა წელის მარჯვენა შენაკადების ზონაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ვიდრე მდ. არეზის ზემო წელსა და მის მახლობლად მდებარე მხარეებზე“,² ანუ დიაუხის საზღვრებში მდებარე თორთომ-წყლის ხეობაზე.



რუკა 1 (Map 1): მარშრუტის GoogleMap-ზე დატანილი პუნქტები

¹ მელიქიშვილი, *უძველესი სამეფო*, გვ. 203; მისივე, *К истории древней Грузии*, გვ. 176,205; Diakonoff, *The Pre-History*, გვ. 171; Арутюнян, *КУКН*, გვ. 523; *Государство Урарту, Атлас*, გვ. 102.

² ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 137.

რუკა 2 (Map 2): სომხეთის სსრ ატლასის (1961წ.) ძვ.წ. VIII-VII სს. ურარტუს რუკის ფრაგმენტი



1. სად მდებარეობდა ქალაქი უტუხაი?

ცალკეული მეცნიერები უტუ/უტუხაის ოლთუ/ოლთისთან აიგივებენ (იხ. დ. რეიფილდი).¹ ს. გოგიტიძე კი მიიჩნევს, რომ „ქ. უტუხაი ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქ თუხარისთან უნდა გაიგივდეს“ როგორც „უტუხაი“-„თუხარისი“ ფონეტიკური მსგავსების, ისე „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ცნობის გათვალისწინებით, რომ „ქ. თუხარისი ამ დროსაა წარმოქმნილი“.² ნ. არუთუნიანის მიხედვით, უტუხაის მხარის სახელწოდება (URUUtuhai asuni)³ მეტათეზის დაშვების შედეგად შესაძლოა უკავშირდებოდეს ჭოროხში ჩამავალი თორთომ-წყლის მარჯვენა შენაკადთან მდებარე „უხტა/ოხდა“-ს.⁴ ი. დიაკონოვი და ს. ქაშქაი ამ ტოპონიმს „Uhta“-ს სახით წარმოადგენენ.⁵ დ. ბაქრაძის 1878 წლის რუკაზეც (რუკა 3)

¹ Rayfield, *A History of Georgia*, გვ. 17.

² გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 106, 126.

³ Меликишвили, *УКН*, გვ. 157.

⁴ Арутюнян, *КУКН*, გვ. 529.

⁵ Diakonoff, *Kashkai, Geographical Names*, გვ. 97.

იმავე ადგილას, თორთომის ტბის სამხრეთით, ოშკიდან 18 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით, „ოტა“ (Oxma) არის აღნიშნული.¹ სწორედ ამ უკანასკნელთან ახდენს უტუხაის იდენტიფიცირებას გ. ქავთარაძეც, რასაც, ზემოხსენებული არგუმენტების შეჯერების საფუძველზე, მეც ვიზიარებ.

რუკა 3 (Map 3): დ. ბაქრაძის რუკის ფრაგმენტი (1878)



2. სად მდებარეობდა ქალაქი ზუა(ნი)/ზუაინა?

დ. ბაქრაძის იმავე რუკაზე „ოტა“-ს მახლობლად, სამხრეთ-დასავლეთით დამონშებულია „Azorx“. ეს სახელი იმავე სამოსახლოსა და ზოგადად, თორთომის ხეობის აღმნიშვნელად – „აზორდაცფორი“ – ცნობილია ჯერ კიდევ VII საუკუნის „სომხური გეოგრაფიიდან“.² ქალაქის დღევანდელი სახელია უზუნდერე, რომელსაც სამხრეთიდან უშუალოდ ესაზღვრება თორთომის ხეობის შუა წელის მთავარი ციხე-სიმაგრე – აღჯა-ყალე (დღევ. *engüzekkari kalesi*). სწორედ მას მიიჩნევს გ. ქავთარაძე ზუად: „ხომ არ წარმოადგენდა თორთომის-წყლის შუა დინებაზე განლაგებული აღჯა-ყალა ზუაინა/ზუა(ნი)ს?“³

1926 წლის კავკასიის მხარის სამხედრო-ტოპოგრაფიული ხუთვერსიანი რუკაც, დ. ბაქრაძის მსგავსად, იმავე ადგილას ათავსებს „აზორტს (129)“, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთსა და იმავე ხეობაში აღნიშნულია „ოტა (47)“ და იქვე – „ისი (29)“,⁴ აზორტისა და ოტა-ისის ხეობებს შუა კი – „ამკისორი (59)“, რომელსაც არაერთხელ დაეუბრუნდებით (რუკა 4). აღჯა-ყალე რუკაზე მონიშნულია როგორც *P.Kp. Юнгиюсю кала*. აზორტი (დღევ. უზუნდერე) მდებარეობს იქიდან 3 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით,

¹ Бакрадзе, *Археологическое Путешествие*, ტაბ. I.

² ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 137.

³ იქვე.

⁴ ისის (დღევ. *Altın çanak*, „ოქროს თასი“) ქართული ეკლესიის ნანგრევებზე მოსახლეს 1996 წლისთვის სახლის კედლები ჰქონდა დაშენებული (გივიამვილი, კოპლატაძე, *ტაო-კლარჯეთი*, გვ. 109-111), ხოლო ოტხაში (დღევ. *Kirazlı*, „ბლიანი“) მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას ე.წ. „ქილისენინ იანის“, ანუ „ეკლესიის მხარეს“ (ხუციშვილი [და სხვა], *ტაო-კლარჯეთის ძეგლების*, გვ. 120).

თორთუმ-წყლის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის, აზორტის-წყლის ხეობაში, რომელიც ქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, „აზორტის იალებიდან (6403)“ იღებს სათავეს და ჭალასთან უერთდება თორთუმ-წყალს (რუკა 4).

თუ გავითვალისწინებთ, რომ თავდაპირველი დასახელებების „გადათურქების“ პროცესში, რასაც ს. ჯიქია „ოსმალურად გადატეხილ“ ქართულ ტოპონიმებს უწოდებს,¹ გავრცელებული იყო არამარტო ძველი სახელების თურქულად თარგმნა (ოთხთა ეკლესია – დორთ ქილისე, მგელციხე – კურტკალე, ქაჯისციხე – შეითანკალე და ა.შ.), არამედ მსგავსი ჟღერადობის თურქული სიტყვებით შეცვლაც, რაც მათ ახალ, „თურქულ“ დატვირთვასაც აძლევდა (ჩრდილის-ტბა – ჩილდირ-გოლე; დოლისყანა – დოლიშჰანე, ბასიანი – პასინლერ, კონსტანტინოპოლი – ისტანბულ, ულუმბო – ულუდად და ა.შ.), ადვილი წარმოსადგენია, რომ დასახელება „ზუა(ნი)ს ხევი“ თავდაპირველად თარგმნილიყო როგორც „ზუან დერე“ (თურქ. „დერე“ ნიშნავს „ხევს“), ხოლო დროთა განმავლობაში თურქულისთვის არაფრის მთქმელი „ზუან“ საბოლოოდ შეცვლილიყო მათთვის გასაგები სიტყვით „უზუნ“ (გრძელი), ხოლო ზუა(ნი)ს ხევს, რომლის სიგრძე ქალაქ უზუნდერედან სამხრეთ-აღმოსავლეთით ზემოხსენებულ უზუნდერეს იალამდე 20 კმ-ია, ეწოდა „უზუნ დერე“ („გრძელი ხეობა“).

რაც შეეხება საკუთრივ „ზუა“ ტოპონიმს: ცხადია, რომ თუ მის ქართულ წარმოშობაზე საუბარი შესაძლებელია შავშეთთან მიმართებაში, როგორც მიაჩნია გ. ქავთარაძეს, მაშინ იგივე იქნება „ზუა(ნი)ს ხეობის“ შემთხვევაშიც, რაც შეიძლება ნავიკითხოთ როგორც „მზუარი/მზიანი“ ხევი, „ზუავი/გოროზი“ ხევი.² სავარაუდოდ, შემდგომში სომხურად მას ეწოდა აზორდ-აზორდაცფორი (რასაც, ოსმალურის ანალოგიურად, შეიძლება ეწოდოს „სომხურად გადატეხილი“ ქართული ტოპონიმი), ხოლო თურქულად – უზუნდერე. ეს კი მიმყარებს გ. ქავთარაძის ვარაუდს, რომ ზუა(ნი) უნდა ყოფილიყო უზუნდერეს აღჯა-ყალეს ციხე (დღევ. *engüzekkapı kalesi*), ხახულიდან (დღევ. *Bagbasi*) 10 კმ. აღმოსავლეთით და თორთომის ციხიდან 25 კმ. ჩრდილოეთით (რუკა 5).

აღჯა-ყალე/ენგუზეკს ქართველი ავტორები ქვედა თორთომის ციხედაც მოიხსენიებენ.³ მათი ქართული წარმომავლობა ეჭვქვეშ არც ოსმალებს დაუყენებიათ, როცა 1549 წლის 13 სექტემბერს ვეზირმა აჰმედ-ფაშამ 10-წლიანი ბრძოლების შემდეგ თორთომი, ხოლო 18 სექტემბერს „აქჩა-კალე“/„უზუნდერე“ დაიპყრო.⁴ სულთან სულეიმანის მიერ თორთომისა და აღჯა-ყალეს დაპყრობას, თორთომიდან დაწყებულ გონიოს ციხის სამხედრო ექსპედიციებსა და ჭოროხის ხეობის ქართველებს აღწერს ამ ბრძოლების

¹ ჯიქია, *გურჯისტანის ვილაეთის*, გვ. 26.

² ჯიქია, *გურჯისტანის ვილაეთის*, გვ. 26.

³ ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 140.

⁴ ჩიქობავა, *აზორდის ციხე*, გვ. 7; ქავთარაძე, *საქართველოს სახელმწიფოებრივი*, გვ. 34-35.

უშუალო მონაწილე ევლია ჩელები, რომელიც აღნიშნავს, რომ აღჯა-ყალე „საქართველოს მიწაზე მდებარეობს“,¹ თორთუმის ციხე „საქართველოს მეფის – მამრულის აშენებულია“,² ხოლო „საქართველოს ყელი“ ჯარმა ბრძოლების შემდეგ გაიარა „ათას ორმოცდაჩვიდმეტი წლის კასიმის პირველ დღეს“,³ ანუ 1647 წლის 8 ნოემბერს.⁴ თორთომ-ციხე იყო XV საუკუნის დასაწყისში თემურ-ლენგის ერთ-ერთი ძირითადი ბანაკი ანატოლიასა და ამიერკავკასიაში მისი ლაშქრობების დროს;⁵ ხოლო 1549 წ. დეკემბერში ფერდინანდ I-სადმი გაგზავნილ წერილში სულეიმან კანუნი იუწყება ოსმალთა მიერ თორთომ-ციხისა და აღჯა-ყალეს აღებას და თორთომს „გურჯისტანის ქვეყნების“ დედაქალაქად მოიხსენიებს (სურ. 1-2).⁶



რუკა 4 (Map 4): კავკასიის მხარის ხუთვერსიანი სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი (1926)

¹ Dündar, *Erzurum Beylerbeyliği*, გვ. 260; შაშიკაძე, კარალიძე, ტაოს ისტორიიდან, გვ. 91.
² ევლია ჩელები, *მოგზაურობის წიგნი*, I, გვ. 318.
³ იქვე, გვ. 321-322.
⁴ იქვე, გვ. 334.
⁵ ევლია ჩელები, *მოგზაურობის წიგნი*, II, გვ. 116, შენ. 9: გ. ფუთურიძის თანდართული კომენტარის შესაბამისად.
⁶ Clavijo, *Embassy to Tamerlane*; ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 138.



რუკა 5 (Map 5): GoogleMap-ზე დატანილი უზუნდერე-ენგუზეკკაპი-ხახული-თორთომციხის არეალი



სურ. 1-2 (Fig. 1-2): უზუნდერეს აღჯა-ყალე, იგივე Engüzekkapı kalesi. თ. კობლატაძე. 2018. (სურ. 2 იხ. მომღევნო გვერდზე)



3. სად მდებარეობდა შაშილუ?


გ. ქავთარაძე თვლის, რომ შაშილუ იგივე თორთუმის ციხეა, ანუ ადრეული დაიანის ის უცნობი დედაქალაქი ასია მეფის დროს, რომელიც „ერზურუმის ზეგნისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა და გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მდ. ევფრატის სათავეებსა და საზოგადოდ ერზურუმის მხარეზე“ იმ მათა სისტემაში, რომელიც ჭოროხის, სერჩამ-სუს, თორთომის-წყლის, კარა-სუსა და ოლთისის-წყლის წყალგამყოფს წარმოადგენს; ამასთან, თორთომის ციხის გარშემო დიდი ქალაქი უნდა არსებულებოდა, რომლის ერთ დასახლებას „სასირე“ მკვლევარი შაშილუდ მიიჩნევს.¹ ოსმალეთის მიერ მხარის დაპყრობის პერიოდში (XVI ს.), ხახულიდან 27 კმ. სამხრეთით, მოსხის მთებში მდებარე თორთომ-ციხის სანახები გარშემორტყმული იყო 45 დასახლებით და 2749 კომლით; მ.შ., დასავლეთიდან – სასირეს (საღირა) რაბათით და სოფლით (დღევ. *Kemerkaya-Esendurak*), ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან 12 კმ-ში – სოხთოროთით (დღევ. *Doruklu*) და ექექით (დღევ. *Vişneli*;² რუკა 6). 1996 წელს ექექის და სოხთოროთის ქართული ეკლესიები სრულიად განადგურებული დაგვხვდა.³ XX საუკუნის პირველ ნახევარში არზრუმ-ართვინის ახალი მაგისტრალის მონაკვეთმა თორთომის ციხეს გვერდი აუქცია 12 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ახალი ქალაქი თორთუმი აშენდა (რუკა 6). ციხემ, რომელიც ძველ გზათა გასაყარზე მდებარეობდა, დაკარგა თავისი ისტორიული მნიშვნელობა.⁴

¹ აბულაძე, *საქართველოსა და მისი პოლიტიკური*, გვ. 259.

² იქვე, გვ. 134; 138-139; მისივე, *ტაოხთა*, გვ. 100-101.

³ შაშიკაძე, კარალიძე, *ტაოს ისტორიიდან*, გვ. 92-96.

⁴ გივიანავილი, კოპლატაძე, *ტაო-კლარჯეთი*, გვ. 26, 38.



რუკა 6 (Map 6): GoogleMap-ზე დატანილი ხახული-თორთომციხე-თორთუმის არეალი

მეორე მხრივ, გ. ქავთარაძე იმასაც აღნიშნავს, რომ „ბ. პიოტროვსკი, ქალაქ შაშილუს ათავსებდა X საუკუნის ქართული მონასტრის, ხახულის ადგილას, რომელიც თორთომიდან მხოლოდ ოციოდე კილომეტრით თუ არის დაშორებული,¹ ხოლო რ. ჰ. ჰევზენი ამ ქალაქს ბევრად უფრო ჩრდილოეთით, ჭოროხის შუა დინებასთან ერთ-ერთი მცირე შენაკადის შეერთების ადგილთან მდებარე არსის/ერსისთან ეძებს“² ანუ ოთხთას სამხრეთით, პეტერეკის ციხესთან (დღევ. *Çevreli*) და სოფ. ერსისთან (დღევ. *Kiliçkaya*).³ ამგვარად, არაქსის ხეობას რომ თავი დავანებოთ, მარტო თორთომწყალ-ჭოროხის ხეობაში, 96.5 კმ. მანძილზე, შაშილუს მდებარეობის სულ ცოტა სამი ვარიანტი გვაქვს (რუკა 7): თორთომციხე (გ. ქავთარაძე), ხახული (ბ. პიოტროვსკი), პეტერეკი/ერსისი (რ. ჰ. ჰევზენი).


იმის გათვალისწინებით, რომ ასურელებს თავიანთი გავლენა თავდაპირველად უნდა გავრცელებინათ ასია მეფის დროინდელ დაიანის სამეფოს დედაქალაქზე (თორთომზე), ვფიქრობ, რომ სატახტო ქალაქს იქიდან თორთომის ხეობაში ჩრდილოეთით არა 97 კმ-ით დაშორებულ ერსისში (პეტერეკი), არამედ 27 კმ-ით დაშორებულ ხახულში უნდა გადაენაცვლა, ვიდრე მას 50 წლის შემდეგ ურარტუს მეფე მინუა დაიპყრობდა; ამიტომ, პიოტროვსკის მოსაზრება შაშილუს ხახულთან განთავსების შესახებ, რომელიც

¹ სამუშაო, *თორთომის ციხე*, გვ. 70. XVI-XVII საუკუნეების ოსმალური დავთრების მიხედვით, თორთუმის მხარეში ყველაზე დიდი ხახულის ნაპიე იყო და მის სანახებში შედიოდა არამარტო მეზობელი ვიხიქის (დღევ. Pehlivanlı) და ენგუზეკის (დღევ. Dikyar), არამედ ისი-ოტხას და აშკალამ-ოშკის ხეობების დასახლებებიც (შაშიკაძე, კარალიძე, *ტაოს ისტორიიდან*, გვ. 92-96).

² კუფტინი, *საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონიმიკის*, გვ. 315.

³ Hewsen, *The Geography*, გვ. 206-210; დამონმებულია ნაშრომიდან: ქავთარაძე, *ტაოხთა*, გვ. 104.

მდებარეობს თორთომწყლის შუა-ნელში, ხეობის მთავარი კარის ციხიდან (ენგუზეკ-კაპი კალესი) 10 კმ. დასავლეთით, ანგარიშგასანევია.¹



რუკა 7 (Map 7): GoogleMap-ზე დატანილი თორთომციხე-ხახული-ერსისის (პეტერეკი) არეალი

4. რა საერთო შეიძლება არსებობდეს შ ა შ ა რ ო ზ ს ა და შ ა შ ი ლ ო ს შ ო რ ის?

2016 წლის ოქტომბერში, ოშკის, იშხნისა და ხახულის მორიგი მონახულებებისას, უზუნდერეში მანამდე უცნობი ქართული ეკლესიაც დავაფიქსირეთ, რომლის სახელია შ ა შ ა რ ო ზ ი (რუკა 8). „შაშაროზის შაპელის“ კედლებზე X საუკუნის ასომთავრული ნაკანრი წარწერები ადგილზე გ. გაგოშიძემ გააშიფრა, რომლის მიხედვით, ვედრებათა უმეტესობა იოანე ნათლისმცემლისადმი არის მიძღვნილი; შესაბამისად, შაშაროზი იოანე ნათლისმცემლის სახელობისა უნდა იყოს, ისე როგორც ოშკი (სურ. 3-4).

რამდენად არის შესაძლებელი, რომ თანამედროვე „შაშაროზის“ მრავალსაუკუნოებრივ სიღრმეებში „შაშილუ“ იმალებოდეს? როგორც ცნობილია, ბგერები r და l, o და u ურარტულ დამწერლობაში ერთმანეთისაგან არ

¹ ხუციშვილი (და სხვა), ტაო-კლარჯეთის ძეგლების, გვ. 70-71.

განიჩრევა,¹ ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის კვლევისას რეკომენდებულია ა-ს ი-დ წაკითხვა.² თუ შაშაროზს, სავარაუდოდ გვიანდელ „-z“ ბოლოკიდურს მოვაშორებთ, მაშინ გამოდის, რომ მისი წაკითხვა შესაძლებელი ხდება როგორც შაშარო // შაშალო // შაშალუ // შაშილუ.

არგიშთის ცნობით, შაშილუს შემდეგ დიაუხის სატახტო ქალაქი ზუაში გადავიდა (უ-12.2).³ როგორც ეს ხშირად ხდება მიგრაციისა და განსაკუთრებით, ქვეყნის დაპყრობების შემდეგ, ადგილმონაცვლებულ მოსახლეობას ტოპონიმიც თან მიაქვს ახალ სამოსახლოში, მით უმეტეს, როდესაც ქვეყნის დედაქალაქს ეხება საქმე. იგივე მოვლენა გ. ქავთარაძეს სხვა ნაშრომებშიც აქვს განხილული (მაგ., ძველი მცხეთა – დღევ. მცხეთა);⁴ შესაბამისად, მას შემდეგ, რაც შაშილუ ურარტუელების სახელმწიფოში მოექცა, დასაშვებია, რომ გაქცეულ მმართველებსა თუ მოსახლეობას ახალი სამკვიდროსათვის იმ ადგილის სახელი მიენიჭებინათ, რომელიც იძულებით დატოვეს.

არც იმას გამოვირიცხავ, რომ შაშაროზის ეკლესია, რომელსაც შემოსაზღვრავს ზუა(ნი) (დღევ. აღჯა-ყალე/ენგუზეკკაპი), აშკისორი (დღევ. საფაჯა), უტუხაი/ოტხა (დღევ. ქირაზლი) და რომლის გარშემო, უზუნდერეს ხეობაშივე, 4 კმ. რადიუსში დღემდეა შემორჩენილი 4 ეკლესიის (შაპელის) – *Erikli-s*,⁵ *Dilgesor Gözetleme-s*,⁶ *Eski Kilise-š*⁷ და თავად შაშაროზის – ნანგრევები (რუკა 9), იყოს ის ადგილი, რომლის ქვედა შრეებშიც სამუდამოდ დაიმკვიდრეს მყუდრო განსასვენებელი დიაუხების სამეფო ქალაქმა და მმართველებმა.

¹ შაშილუ-ხახულის იდენტიკობის შესახებ მოსაზრება უნდა ეყრდნობოდეს სიტყვის „შაშილუ“ შესაძლო ტრანსფორმაციას სიტყვაში „ხახული“. თურქეთ-სირიის საზღვარზე, მარდინში, ტურ-აბდინის ქართინის მონასტერთან, ევფრატის შენაკად ქორდესის (გორდეს) კალთაზე, ისტორიულ ხახში (თურქ. ჰაჰი; სოფ. ანი, დღევ. Anitli) მდებარეობს IV-V სს. ჰაჰის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც 2015 წელს მოვინახულე. აღსანიშნავია ვ. ჯობაძისა და ე. გედევანიშვილის კვლევები ჰაჰო/ხახულის მსგავსებების შესახებ; კერძოდ, ე. გედევანიშვილი აღნიშნავს, რომ ვ. ჯობაძეს ტურ-აბდინის ჰაჰო მიაჩნდა ხახულის უშუალო ინსპირაციად (*Gedevanishvili, The Khakhuli Dome Decoration*, გვ. 56-57; *Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries*, 146). ნიშანდობლივია, რომ თურქეთის ქართველები ტაოს ხახულის ეკლესიას დღესაც ჰაჰოს ეძახიან.

² ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 138, 143; Меликишвили, *УКН*, გვ. 46.


³ Diakonoff, *The Pre-History*, გვ. 194, შენ. 82; Diakonoff, Kashkai, *Geographical Names*, გვ. xi; 37, 122; მელიქიშვილი, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს*, გვ. 375, 377.

⁴ ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 137, 143.

⁵ იქვე, გვ. 49-60.

⁶ მოიხსენიება როგორც ისტ. სოფ. „ოსეთი“, ამჟამად ქ. უზუნდერეს უბანი (ხუციშვილი [და სხვა], *ტაო-კლარჯეთის ძეგლების*, გვ. 117).


⁷ მდებარეობს ქ. უზუნდერეს მოსესის უბანში (იქვე, გვ. 129).



**რუკა 8 (Map 8): GoogleMap-ზე დატანილი
ოშკი-უზუნდერე-შაშაროზის გზა და შაშაროზის შაპელი**



**სურ. 3-4 (Fig 3-4): შაშაროზის ეკლესიის
ქართული წარწერები. ი. გივიაშვილი. 2016**



რუკა 9 (Map 9): დღევ. უზუნდერეს ერიკლის, ესქი-ქილისეს, შაშაროზისა და დიღგესორის ეკლესიები

5. სად მდებარეობდა შეშეთის ქვეყანა?

ამ კითხვაზე სწორი პასუხისთვის საკვანძო მინიშნებას იძლევა გ. ქავთარაძე: „ის გარემოება, რომ მენუა შაშილუს აღების შემდეგ მიემართება შეშეთის ქვეყნისა და ქალაქ ზუაინა/ზუა(ნი)საკენ, უნდა მიუთითებდეს ერთი და იმავე ვექტორზე მათი განლაგების სასარგებლოდ, რომლის დასაწყისში ქალაქი შაშილუ, ხოლო მის გადაღმა, სავარაუდოა ჩრდილოეთით, შეშეთის ქვეყანა და ქალაქი ზუაინა/ზუა(ნი) მდებარეობდნენ“;¹ ს. გოგიტიძეც მიიჩნევს, რომ „ასურეთის ძირითადი ექსპანსია მიმართული იყო მასთან ახლოს მყოფი დაიანისა და მის მეზობლად განლაგებული ქვეყნების წინააღმდეგ“;² თუმცა, გ. მელიქიშვილზე დაყრდნობით და სხვა მკვლევართა მსგავსად, საბოლოო დასკვნის გამოტანისას, ისინიც შესაბამის ქვეყანას უფრო დაშორებულ ადგილებში ათავსებენ; კერძოდ, თუ ზემოთ განვითარებულ ლოგიკას გავყვებით, მაშინ შეშეთი უნდა მდებარეობდეს თორთუმწყლის გასწვრივ „ჩამწკრივებული“ მოსხის მთათა სისტემის ერთ-ერთ ხეობაში და არა ისე შორს, როგორც იქიდან 180 კმ-ით დაშორებული შავშეთია. შეშეთი-შავშეთი ფონეტიკური მსგავსების გამო (ამის დაშვების ცდუნება კი ქართველ მეცნიერებში დიდია), შავშეთი შეშეთად მიიჩნია გ. მელიქიშვილმა,³ რომლის ავტორიტეტითაც ეს მოსაზრება სხვებმაც გაიზიარეს.⁴ შეშეთის

¹ „ძველი ეკლესია“, მდებარეობს შაშაროზის მიმდებარედ.

² ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 137.

³ გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 54.

⁴ Меликишвили, *К истории древней Грузии*, გვ. 176-177; მისივე, *Наура-Урапу*, გვ. 60, 253; მისივე, *УКН*, გვ. 441-442.

მსგავს ტოპონიმს ჩვენ ვხვდებით სხვა წყაროებშიც: ასურული (მთა „შეშე“), ურარტული (ქვეყანა „შეშეთი“), ქართული („შეშის მთა“, „შავშეთი“);¹ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია შეშათას მთა სამცხეში, რომელიც შესაძლებელია იგივე შავშეთი იყოს, როგორც მიაჩნიათ გ. მაისურაძეს, ნ. ცეცხლაძეს და ს. გოგიტიძეს; თუმცა, გაუგებარი რჩება, რატომ უნდა მოეხსენებინა ბასილი ზარზმელს შავშეთი შეშათად X საუკუნეში მაშინ, როდესაც შავშეთი იმ დროისთვის უკვე საკმაოდ ცნობილი მხარე იყო; ყოველ შემთხვევაში, სამცხის შეშათა ვერანაირად ვერ იქნება გაიგივებული დიაუხის (ტაოს) შეშეთთან.

თუ ჩვენ შეშეთს ვეძებთ თორთომწყლის მთათა სისტემაში, მაშინ ისმის კითხვა: კონკრეტულად მის რომელ ხეობაში მდებარეობდა შაშილუს (ხახულის?), ზუას (უზუნდერეს), უტუხაის (ოტხას) მიმდებარედ „შეშეთის ქვეყანა“? ლოგიკურად, ეს ქვეყანა უნდა იყოს უკვე ნახსენები უზუნდერე-ოტხას შორის მდებარე აშკისორის ან/და ამ უკანასკნელისა და ოტხას მოპირდაპირე თორთომწყლის მარცხენა შენაკადების ხეობა. მინუას (უ-8) და არგიშთი I-ის (უ-12.2) წარწერებში მეორდება ქალაქები შაშილუ და ზუა, მაგრამ მათ მიმდებარედ შეშეთის ქვეყანა „ჩანაცვლებულია“ აშკალაშის ქვეყნით (მინუა: „დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, [...] მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუამდე“). არგიშთი I: „ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავწვი [...] ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუს ქვეყანა“); ანუ, არგიშთის დროს მამამისის დროინდელი დიაუხის სამეფო ქალაქი უკვე დაპყრობილი შაშილუდან ზუაში გადასულა, ხოლო შეშეთის ქვეყნის დასახელება უნდა ჩანაცვლებულიყო აშკალაშით.

6. სად მდებარეობდა აშკალაშის ქვეყანა?

როგორც აღინიშნა, ხუთვერსიან რუკაზე (რუკა 4) თორთომწყლის მარჯვენა ხეობაში, აზორტსა და ოტხას შორის ნაჩვენებია აშკისორი (სომხ. „აშკის ხევი“). იგივე სურათს გვიჩვენებს 1903 წლის კავკასიის ოლქის საგზაო რუკა (რუკა 10).

აშკისორი თორთომის წყლის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის გასწვრივ, სოფ. ჭალადან (რუკა 11; დღევ. ჩაიბაში, რუკა 9) იმ ხეობის („ქვეყნის“) გადაღმა მდებარეობდა, რომელიც თორთომის მარცხენა შენაკადის სახით იღებდა სათავეს 14.6 კმ. ჩრდილოეთით და სადაც მთელი თავისი დიდებულებით დგას ოშკი, ალჯა-ყალედან (*Engüzekkapı kalesi*) 18 კმ. და ხახულიდან 27 კმ. ჩრდილოეთით (რუკა 10-11).

¹ მაისურაძე, *აღმოსავლურქართულ ტომთა კვალი*, გვ. 21-22; ცეცხლაძე, *შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია*, გვ. 10; ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 139-140; გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 103.

ნ. შენგელია გვანდის XVII საუკუნის ისლამურ დავთრებში დაცულ ცნობებს, სადაც ამ არეალში მოხსენიებულია სამი სხვადასხვა სოფელი: ოშკი, ვანქი-ოშკი და ოშკისური,¹ რაც ცხადყოფს მათ ერთ დასახლებად („ქვეყნად“) არსებობას, სადაც ოშკისური (აშკისორი) უნდა ყოფილიყო მისი სამხრეთი (ქვემო) ნაწილი, სოფ. ოშკი – შუა ნაწილი, ხოლო ოშკი-ვანქი (მონასტერი) და ოშკის კალე (ციხე) – ჩრდილოეთი (ზემო) ნაწილი, შემოსაზღვრული „ვანქის“ იალებით (რუკა 11).²

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ამ დასახლებებს უნდა მოიცავდეს ძველი აშკალაშის ქვეყანა, რაშიც რელიგიურ სურათთან ერთად გვარწმუნებს აშკალაშის-აშკისორი-ოშკის აშკარა ფონეტიკური მსგავსებაც. აშკისორის დღევანდელი სახელია საფაჯა (რუკა 12).

მე-11-13 რუკების შედარებისას დავინახავთ, რომ 1903 წ. რუკის მონაცემისგან განსხვავებით (რუკა 10), თითქმის გაუკაცრიელებულია აშკისორის (დღევ. საფაჯა) მოპირდაპირე ჩრდილოეთი ხეობა ოშკის (ვანქის) მიდამოებიდან თორთუმ-წყლამდე (1926 წ. რუკაზე სოფ. „ჭალა“, რუკა 11); თუმცა, ხეობის კვალი დღესაც შეინიშნება (დღევ. საფაჯას გადაღმა, რუკა 12). ჭალადან (დღევ. „ჩაიბაში“) 2 კმ. ჩრდილოეთით ფიქსირდება ეკლესიის ნანგრევი.³ აშკისორშიც (საფაჯა) ფიქსირდება რამდენიმე ეკლესიის ნანგრევები და ძველ ჯამეში, აღმოსავლეთით, – შესასვლელის თავზე ჩატანებული ორნამენტიანი ქვა ასომთავრული ლაპიდარული წარწერით.⁴




რუკა 10 (Map 10): კავკასიის მხარის საგზაო რუკის ფრაგმენტი (1903)

¹ შენგელია, დავთრები, გვ. 285-286, 289; Gviashvili, *Oshki: architecture and historic context*, გვ. 323.


² 2018 წელს ქ. უზუნდერეს მერიამ, ჩვენი მიმართვის საფუძველზე, არზრუმ-ართვინის მაგისტრალის ტრაფარეტიდან მოხსნა დასახელება „ოშკი-ვანქი“ (სომხ. „ოშკის მონასტერი“) და ის „ოშკით“ შეცვალა.

³ ხუციშვილი (და სხვა), *ტაო-კლარჯეთის ძეგლების*, გვ. 126.

⁴ იქვე, გვ. 120-124.



რუკა 11 (Map 11): სამხედრო-ტოპოგრაფიული ხუთვერსიანი რუკის ფრაგმენტი (1926)



რუკა 12 (Map 12): GoogleMap-ზე დატანილი ხახული-დიკიარ-ენგუზეკ-საფაჯა-ქირაზლი-ოშკის არეალი

7. სად მდებარეობდა ქვეყნის კარი?

საინტერესოა მოსაზრება „ქვეყნის კარისა“ და ვახუშტისეული „საქართველოს ყელის“ („გურჯიბოლაზი“, ჯუანშერისეული „გზა ქართლისა“) იგივეობასთან დაკავშირებით,¹ რომელსაც ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრად მიიჩნევს და რომელიც არზრუმ-თორთომის მაგისტრალური გზის შუა-წელზე მდებარეობს; თუმცა, ვეჭვობ, რომ ამ შემთხვევაში, მინუას ლაშქრობის არეალის კომპაქტურობის გათვალისწინებით, აქ უნდა იგულისხმებოდეს თორთომ-წყლის არა სათავის, არამედ ხეობის შუა-წელის „კარი“, ენგუზეკის კარის ციხე (*Engüzekkapı kalesi*) და მისი მარცხენა შენაკადის – ენგუზეკის ხეობა (*Юнгузекъ дөре*), რომლის ზემოთ იშლება ენგუზეკის იალები (*Ялия Юнгузекъ*, რუკა 12). იქიდან ოშკის დაპყრობამდე კი ერთი ხელის განვდენაა, რასაც იმავე 1926 წლის რუკაზე დატანილი ენგუზეკის იალას ოშკთან დამაკავშირებელი ბილიკიც გვიჩვენებს: „გავემართე მე (სალაშქროდ) ულდინის² ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას³ წინააღმდეგ [...] ნავედი მე ქვეყნის კარით⁴ აშკალაშის⁵ ქვეყნის წინააღმდეგ [...] სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა კადა,⁶ ქვეყანა აშკალაში,⁷ ქალაქ შაშილუს⁸ ქვეყანა“. ენგუზეკის ხეობა *GoogleMap*-ზე აღნიშნულია როგორც დიკიარი (*Dikyar*), ხოლო იალები – *Amutlu Yalasi* (რუკა 12).⁹

¹ გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 109.

² იგივე დიდის, იხ. ქვემოთ.

³ უზუნდერე.

⁴ ენგუზეკის კარი.

⁵ ოშკი-აშკისორი.

⁶ იგივე ქადა, იხ. ქვემოთ.

⁷ ოშკი-აშკისორი.

⁸ ხახული (?), შამაროზი (?).

⁹ ტოპონიმი „ენგუზეკი“ ადგილის ძველ სახელს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან დღევ. თურქულისთვის ის უჩვეულოდ ჟღერს. ხომ არ მომდინარეობს „ენგუზეკი“ „ზუანიდან“? ენგუზეკ კალას დღეს დიკიარ კალადაც მოიხსენიებენ. სახელში „დიკიარი“ კი შესაძლოა იკითხებოდეს მისი ქართული ფუძე („დი-კარი“, „დიდი კარი“ [?], „დიაუხის კარი“ [?]) მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი უფრო გვიანდელია: 1955 წლის აღწერით ენგუზეკის სახელი იყო „დიკალე“ („ციცაბო ციხე“), ხოლო 1960 წლის აღწერით – „დიკიარი“. იქნებ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საწყის ტოპონიმთან მიახლოების პრეცედენტს: დადასტურებულია ეკლესიის არსებობა ხეობის „ქილისეს“ („ეკლესიის“) უბანში, რომლის ქვები, ადგილობრივთა თქმით, სოფლის „იუკარის“ (ზემო) უბანში, ძველ ჯამეშია ჩატანებული (ხუციშვილი [და სხვა], *ტაო-კლარჯეთის ძეგლების*, გვ. 127). ს. ჯიქიას „დავთრის“ მასალებში (ჯიქია, *გურჯისტანის ვილაეთის*, გვ. 596) „ხევისკარი“ ჩანს, რომ ‘კარ’ ფუძიანი კომპოზიციის გეოგრაფიული სახელების გავრცელების არეალი მთელი ტაოა (ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, *ტაოს ონომასტიკა*, გვ. 789).

8. სად მდებარეობდა დიდის (ულდინის) ქვეყანა და ქვეყანა კადა?

გავიხსენოთ, როგორ აღწერს ტაოს საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ნარუმაკს¹ ზეით [...] ჭოროხის² აღმოსავლეთ კიდეზედ, არს დაბა დიდი იდი [...] აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამხრით თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა“.³ 1903 წლის რუკაზე “Идз” ნაჩვენებია ნარიმანთან ახლოს, სამხრეთით, თორთუმის აღმოსავლეთით და ისი-ოცხა-აშკისორ-აზორტ-ხახულის სამხრეთ-აღმოსავლეთით (რუკა 13).

გამოთქმულია მოსაზრება იდისა და დიდის (ულდინის) ქვეყნის იდენტიფიკაციის შესახებ: „ანლაუტში დენტალური ფონემის მერყეობის (დიდი/იდი) გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე ტოპონიმი ‘იდი’-ს მხედველობაში მიღება, რაც განსაკუთრებით საგულისხმო იმ მხრივ იქნებოდა, რომ ‘იდი’ ოლთისის-წყლის ზემო ნელზე (შდრ. ბარამიძე, *საქართველოს ისტორიული რუკა*), ზუაინა/ზუა(ნ)-ად მიჩნეული ზივინის ჩრდილოეთით მდებარეობდა“.⁴ თუმცა, დღეს არც „იდის“ ტოპონიმი აღარ არის შემორჩენილი. როგორც ჩანს, მხარის – „დიდი“/„იდი“ – დასახელება ტრანსფორმირდა ტოპონიმში „დიბი“ („ძირი“) და მოიცავს დღევ. „კალე-დიბის“ ზეგანს, რომლის გასწვრივაც მდებარეობს კალედიბის სოფელიც (*Kaledibi*, ციხისძირი), მთაც (*Dagdibi*, მთისძირი), ციხეც (*Kaledibi Kalesi*, „სამხრით თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე“) და ნარმანის „დაბა დიდი იდი“, ოლთისის-წყლის სათავეებთან (რუკა 14), რაც თანხვედბა ნ. არუთიუნთან მიერ, ფ. ვ. კიონიგის მონაცემებზე დაყრდნობით, ულდინისთვის განსაზღვრულ ადგილს: „სადღაც ჭოროხის შენაერთის, ოლთისის-წყლის სათავეებთან“.⁵ როგორც ითქვა, შაშილუს შემდეგ დიაუხის ახალი სატახტო ქალაქი ზუა(ნი) „ულდინის“ ქვეყანაში მოიხსენიება, თუმცა დიაუხის ქვეყნის გადაღმა: „დიაუხის ქვეყნის გვერდით“,⁶ მაგრამ როგორც რუკაზეც ჩანს, ზუა(ნი) მდებარეობდა ზივინი-იაზილითაშის და ნარიმან-იდის (ულდინი/დიდი) ჩრდილოეთით, ანუ დიაუხის საზღვრებში.

იმავე რუკაზე ოლთისიდან (ოლთუ) 28 კმ. სამხრეთ-დასავლეთით, ქ. ნარმანთან, აღნიშნულია სოფ. სამიკალე (სამიკალე, *საქ. ტ.ქ.ც.*), ისტ. სამი-

¹ ვახუშტისვე განმარტებით: „ან ნარიმანი“.

² აქ ვახუშტის ჭოროხი, ცხადია, ოლთისის-წყალი უნდა იყოს.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა*, გვ. 683-684.

⁴ ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 137, 143. შდრ.: Меликишвили, *УКН*, გვ. 234 (128, B12), 235; König, *Handbuch der chaldischen Inschriften*, I, გვ. 82; König, *Handbuch der chaldischen Inschriften*, II, გვ. 207; Арутюнян, *КУКН*, გვ. 186 (174, B12), 187.

⁵ “Где-то у верховьев реки Олту, притока Чороха” (Арутюнян, *КУКН*, გვ. 528; König, *Handbuch der chaldischen Inschriften*, II, გვ. 207).

⁶ “Next to the land of Diauene” (Diakonoff, Kashkai, *Geographical Names*, გვ. 27).

კარი (სამიკარი, სამىكارى), 1928 წლის „თურქეთის სოფლების დავთრის“ შესაბამისად. სოფელი მოხსენიებული აქვთ ც. აბულაძეს¹ და თ. ხუციშვილს.² 1903 წლის რუკაზე ის არ იძებნება, მაგრამ ქ. ნარიმანს და სამხრეთიდან მის მომიჯნავე სოფ. შექერლის შორის, დასავლეთი მხრიდან და იდის მომიჯნავედ, ჩრდილოეთით, აღნიშნულია სოფ. ქადი (თურქ. *Kadi-köy*, რუკა 13). ამჟამად, იდის მსგავსად, ქადის დასახელებაც გამქრალია; თუმცა, *GoogleMap*-ზე (რუკა 14) დადარებისას კარგად ჩანს, რომ ქადი მოქცეულია დღევ. ქ. ნარმანის სამხრეთ უბანში, ხოლო იდი – ნარმანისა და სოფ. შექერლის საზღვარზე. ნარმანის ნაწილად მოიხსენიებს იდისაც და იქ არსებული ეკლესიების ნანგრევებსაც თ. ხუციშვილიც.³

სხვა სიტყვებით, ჩრდილოეთიდან „სამი კარით“ („სამი ციხით“) და ვახუშტისეული „ნარუმაკით“ („ნარიმანით“) შემოსაზღვრული ქადა (კადა, ქადი) მდებარეობდა ოლთისიდან 32 კმ. სამხრეთ-დასავლეთით, კალედიბი – კალესიდან 38 კმ. და თორთომციხიდან 45 კმ. აღმოსავლეთით, უზუნდერედან და ხახულიდან 67-67 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბანადან 62 კმ. და იშხნიდან 90 კმ. სამხრეთით, ბასიანიდან და ჰორასანიდან 62-62 კმ. ჩრდილოეთით და ქანდილის მთიდან და „საქართველოს კარიდან“ (*Iberian Gates*) 55-55 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით (რუკა 15).

იმის გათვალისწინებით, რომ დიდის ქვეყანა ჩრდილოეთით, დიბის ზეგანისკენ იყო გავრცობილი და მასში ზუა(ნი)ც კი შედიოდა, სავარაუდოა, რომ ქადას ქვეყანა სამხრეთ-დასავლეთით ქანდილის მთამდე გრძელდებოდა, რომელიც არზრუმ-ბასიანის სანახებს ეკუთვნის და დასავლეთით „საქართველოს კარს“ ებჯინება. 1903 წლის რუკაზე აღნიშნული ქანდილის მთა შემორჩენილია *Kara-kale*-ს („შავ-ციხის“) სახელით. მას დასავლეთიდან „გიაურ დაღისგან“ (რუკა 16), იგივე „მოსხის მთისგან“, მიჯნავს „ს ა ქ ა რ თ ვ ე - ლ ო ს ყ ე ლ ი“, რომელიც *GoogleMap*-ზე, არზრუმის გურჯუ-კაპის ქუჩიდან და გურჯუ-კაპის მეჩეთიდან 37 კმ. ჩრდილოეთით და თორთუმიდან 23 კმ. სამხრეთით, თორთუმ-წყლისა და ევფრატის ერთ-ერთ, ყარასუს („შავწყალა“) სათავეებთან,⁴ სოფ. *Karagöbek*-თან, დატანილია როგორც *Iberian Gates* (რუკა 17).

გურჯუკაპი ერთ-ერთი იყო არზრუმის ცნობილი ციტადელის 7 კარიბჭეთაგან, თებრიზის, ერზინჯანის, „ახალი“ (ტრაპიზონის), ყარსის, კავაკის (სამსუნის) და სტამბოლის კარიბჭეებთან ერთად, სადაც „აბრემუმის გზაზე“ მდებარე არზრუმის „სასაზღვრო-საბაჟო პუნქტები“ მდებარეობ-


¹ ჩილდირის ვილაიეთის, გვ. 306, 319.

² ხუციშვილი (და სხვა), *ტაო-კლარჯეთის ძეგლების*, გვ. 311.

³ იქვე.

⁴ მდინარე ევფრატი, რომელიც, ცალკეული ცნობებით, ასზე მეტი წყაროს შეერთების შედეგად არის წარმოქმნილი, მოსხის მთების განშტოების შემადგენელ დუმლუ დაღის ფერდობიდან გამოედინება (ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 134).

და.¹ ზემოხსენებული 7 კარის გარდა, რომლებიც გარს ერტყა არზრუმის ციტადელს, ხშირი (განსაკუთრებით, რუსეთთან და ირანთან) ომების გათვალისწინებით, ასევე განახლებულ და აგებულ იქნა 21 ბასტიონი სხვადასხვა მიმართულებით; მათ შორის, თორთომისკენ მიმავალ გზაზე – „გურჯუბოლაზი“.²




რუკა 13 (Map 13): 1903 წლის კავკასიის მხარის საგზაო რუკის ფრაგმენტი

¹ ამათგან, უძველესი იყო არზრუმის ციტადელის 3 კარიბჭე: გურჯუკაპი, ერზინჯანკაპი და თებრიზკაპი, შემდეგ მათ დამატა yenikapı („ახალი კარი“, ტრაპიზონის მიმართულებით), ხოლო თურქეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, რუსეთ-ოსმალეთის 1829 წ. ომის შემდეგ, რუსული ოკუპაციის პირობებში – „ეკლესიის კარიც“ (kilisekapi), რომელმაც საბოლოოდ ჩაანაცვლა გურჯუკაპი. მისი ქვები შემდგომშიც გამოიყენებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას (გურჯუკაპის მეჩეთიც იქარსებული ეკლესიის ნანგრევებზე უნდა დაშენებულიყო). კიდევ ერთი, ჰარფუთის კარი (ელაზიგის მიმართულებით), აღმოაჩინეს 2017 წელს (Erzurum Kapıları).



² Atabeyoğlu, *Erzurum*, გვ. 162-164.



რუკა 14 (Map 14): GoogleMap-ზე დატანილი კალედების ზეგნის არეალი



რუკა 15 (Map 15): ისტ. ქადის, ნარმანისა და სამი კარის მდებარეობა დღევ. GoogleMap-ის მიხედვით



რუკა 16-17 (Map 16-17): გიაურდაღ-გურჯუკაპი და ქანდილ-კარაკალე 1903 წ. და დღევ. GoogleMap-ის მიხედვით

9. სად მდებარეობდა ბია(ნი), ხუშა(ნი) და ულთუზა?

ვანის „ხორხორის“ კლდეზე ამოკვეთილ და სურბ-საჰაკის ეკლესიაში ქვაზე ნაპოვნ ნარწერებში არგიშთი I ამბობს (მეფობის II-III წელი): „მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა. გავემართე (სალაშქროდ) ზაბახაეს ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახაე“ (უ-12.3).¹ გ. მელიქიშვილი იგანის (დღევ. ჩრდილის ტბა) დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით² ათავსებდა ზაბახაეს (დღევ. ჯავახეთი და მის ოდნავ სამხრეთი ტერიტორია) და თარიუნს, ხოლო ხუშანს და ბიანს – მათ დასავლეთით, დიაუხის ჩრდილო-აღმოსავლეთში;³ შესაბამისად, ბია(ნი) და ხუშა(ნი) ქოროხის ხეობაში უნდა იყოს საძებნი,⁴ თუ დავაზუსტებთ, მისი აღმოსავლეთი შენაკადის, ოლთისის-წყლის ხეობაში; ამასთან, გ. მელიქიშვილის მიხედვით, აბიანის (ბიანი, ბია) ტომის მთავარი დასახლება იყო ედია,⁵ რომელიც პ. ინგოროყვას მიერ იდისთან იდენტიფიცირდება.⁶

ხუშანი // ხუშალხი, რომელსაც არგიშთი I ორჯერ მოიხსენიებს დიაუხში ლაშქრობის კონტექსტში, არგიშთის ძის სარდური II-ის მიერ დაახლ. ძვ. წ. 750 წლით დათარიღებული ნარწერის მიხედვით უკვე კულხას (გვიანდ. კოლხისი, სამეფო ქალაქით ილდამუშა) შემადგენლობაში ჩანს.⁷ ეჭვს არ იწვევს დიაუხის, კულხას და ილდამუშა/ქათარზას კავშირი ქართველურ სამ-

¹ გორდეზიანი, *ანტიკური*, გვ. 28; Меликишвили, *УКН-127*, გვ. 212, 247; მისივე, *Наири-Урарту*, გვ. 215; მისივე, *ურარტუს სამეფო*, გვ. 274; გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 106.

² ს. გოგიტიძის დაზუსტებით „ჩრდილო-დასავლეთით“, მტკვრის სათავეების მიდამოებში (იქვე, გვ. 101).

³ Меликишвили, *УКН*, გვ. 442, 446; 423, 429; მისივე, *Наири-Урарту*, გვ. 59-61. გ. მელიქიშვილის განმარტებით, ურარტუელები თავიანთ ქვეყანას მოიხსენიებენ როგორც ბია-ინი-ლი (ბიანა, ბია). ქვეყნის ფუძე სახელია „ბია-“, კუთვნილებითი სუფიქსი „-ინი“ და მრავლობითის აღმნიშნელი ფორმა „-ლი“ (იქვე, გვ. 28-29; მისივე, *УКН*, გვ. 423); თუმცა, ის არ იზიარებდა დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ ბიანილის ცენტრი იყო ვანი, სადაც მდებარეობდა მისი დედაქალაქი თუშფა, რამდენდაც ბიანის მსგავსი ტოპონიმი არც ვანში და არც ვანის ტბის შემოგარენში არ არის შემორჩენილი. მისი აზრით, ეს ტერმინი უნდა იყოს უფრო ძველი ეპოქის ურარტუელი ტომების ან დანიანურებული ეთნიკური ჯგუფის წარმომავლობის აღმნიშვნელი (მისივე, *Наири-Урарту*, გვ. 28-29).

⁴ გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 101.

⁵ Меликишвили, *УКН*, გვ. 425.

⁶ „შესაძლებელია, ამავე ბიანის ოლქს უკავშირდებოდეს მოგვიანებით, ძვ. წ. 750 წელს, სარდური II-ის ნარწერის აბიანი [...] და არგიშთი I-თან დასახლებული ქვეყანა ბია [...], მით უმეტეს, რომ მისი ქალაქი ედია მოგვიანო ხანის იდი-სთან („იდესასთან“) [ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 466] შეიძლება გაიგივდეს“ (გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 101-102).

⁷ Gordeziani, *Qulha*, გვ. 242; Меликишвили, *УКН*, გვ. 279, 282, 429-430, 437-438; მისივე, *Наири-Урарту*, გვ. 59-60, 62-63.

ყაროსთან:¹ ურარტული ტექსტების დ ი ა უ ხ ს უკავშირდება ქართული ტაო, სომხ. ტაიკ, ბერძნ. Τάοχαι და შესატყვისია ასურული ტექსტების დაიანისა და ხეთური აცი-ხაიასას (Azzi-Hayasa), რაც „გვაჩვენებს გარკვეულ სიახლოვეს კოლხეთის სინონიმად თუ ქალაქად გაგებულ ლეგენდარულ აიასთან“.² კ უ ლ ხ ა შეიძლება იყოს ნანარმოები ხურიტული ან ქართველური სუფიქსით -ხ ადგილობრივი კოლადან (დღევ. გიოლე, მდ. მტკვრის სათავეებთან). კოლა-ს მიიჩნევდნენ კოლხა-ს ფუძედ მ. ნერეთელი,³ ივ. ჯავახიშვილი⁴ და პ. ინგოროყვა;⁵ შესაბამისად, დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ძვ. ბერძნული კოლხისი (Colchis) უფრო ადრეული ურარტული წყაროს კულხას (Qulḫa) შეესაბამება. გ. მელიქიშვილიც ვარაუდობს, რომ კულხა მდებარეობდა არა დიაუხიდან „შორეულ ჩრდილოეთით“ (შავიზღვისპირეთში), არამედ საკმაოდ სამხრეთ „რაიონებში“.⁶ მეტიც, აღნიშნულის გათვალისწინებით და შ. ასათიანის ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, რომ დიაუხის „რეგიონალური ლიდერი, მეფე უტუფურსი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ებრძოდა ურარტუს, შეიძლება ყოფილიყო ბერძნული თქმულების აიეტის – აიას მმართველის პროტოტიპი“,⁷ ლ. გორდეზიანი მიიჩნევს, რომ „კულხა შეიძლება ყოფილიყო ალტერნატიული სახელწოდება დიაუხის სამეფოსათვის“.⁸ კულხა ოთხჯერ მოიხსენიება სარდური II-ის ორი ლაშქრობის კონტექსტში: ერთხელ კულხასკენ გალაშქრებული სარდური სძლევს ხუშას მეფე ხახანს, რომელსაც მისი ხალხითურთ ურარტუში გადასახლებს, ხოლო მოგვიანებით ლაშქრავს აბილიანიჰის (უ-29.3); მეორედ კი ბრძოლით იღებს კულხას სამეფო ქალაქ ილდამუშას (უ-29-5).⁹ ლ. გორდეზიანის აღწერით, ხ უ შ ა ს შესაძლო ლოკალიზაცია ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით კარგად ესადაგება კულხას დაკავშირებას კოლასთან, ხოლო ი ლ დ ა მ უ შ ა გ. მელიქიშვილს, ი. დიაკონოვს, ს. ქაშქაის, მ. სალვინის და ნ. არუთუნთან კლარჯეთში მდებარე არტანუჯის პროტოტიპად მიაჩნიათ, კლარჯეთი კი მენუასდროინდელ ქ ა თ ა რ ზ ა ს თ ა ნ აქვთ გაიგივებული.¹⁰

ვანის სურბ-პოლოსის ეკლესიის კედელში ჩატანებული ძვ.წ. 820-810 წლების სტელის მიხედვით: „იშფუინი სარდურის ძემ, მენუა იშფუინის ძემ

¹ გორდეზიანი, *ლურსმული*, გვ. 177-178.

² იქვე, გვ. 178-180; Gordeziani, *Traces*, გვ. 317.

³ Tsereteli, *Sardurs*, გვ. 43; Gordeziani, *Qulḫa*, გვ. 241; გორდეზიანი, *ლურსმული*, გვ. 179.

⁴ ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორიის შესავალი*, გვ. 12.

⁵ ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 437-438.

⁶ Меликишвили, *Напу-Упарму*, გვ. 63; მისივე, *УКН*, გვ. 17-18, 282, 437-438.

⁷ ასათიანი, *აიეტის*, 130.

⁸ გორდეზიანი, *ლურსმული*, გვ. 180; Gordeziani, *Qulḫa*, გვ. 241.

⁹ გორდეზიანი, *წყაროები*, გვ. 34; გორდეზიანი, *ლურსმული*, გვ. 178-180; გორდეზიანი, *Qulḫa*, გვ. 241.

¹⁰ იქვე; Gordeziani, *CTU A 3-4*, გვ. 34, 36; Меликишвили, *УКН*, გვ. 400.

უკუაგდეს (ტომები) ლუმა, ქათარზა, ...“ (უ-1).¹ გ. მელიქიშვილზე დაყრდნობით ლ. გორდეზიანს შესაძლებლად მიაჩნია ლ უ შ ა - ლ ო ს ა -ს დაკავშირება სახელთან ლ ა ზ ი და ამ კონტექსტში ასევე იმონმებს ს. გაბესკირიას გამოთქმულ მოსაზრებას ამ სახელის ე რ უ შ ე თ თ ა ნ დაკავშირების შესახებ.² რაც შეეხება ქ ა თ ა რ ზ ა ს და ი ლ დ ა მ უ შ ა ს: არუთუნიაანის დასკვნით, ილდამუშა-არტანუჯის კოლხურ ქალაქად მოხსენიება მაშინ, როდესაც ქათარზა ურარტულ ტექსტებში ქრება არგიშტი I-ის ლაშქრობის შემდეგ, იმაზე მეტყველებს, რომ ქათარზა-კლარჯეთი სარდური II-ის ლაშქრობის დროს უკვე კულხას ნაწილი უნდა ყოფილიყო, რასაც ემყარება მოსაზრება, რომ დიაუხმა არგიშტი I-ის ლაშქრობის(ების) შემდეგ არსებობა შეწყვიტა და ძირითადად ურარტუსა და კოლხეთს შორის გაიყო.³ ს. გოგიტიძეც მიიჩნევს, რომ ილდამუშას გაიგივება უნდა მოხდეს არტანუჯთან და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს ხუშა(ნი)ს მდებარეობას „კულხას ერთ-ერთი ოლქის კულხახალის და ქალაქ ილდამუშას (არტანუჯის) სამხრეთით“;⁴ მეტიც, ს. გოგიტიძე ხუშანს ოლთისის-წყლის ჭროხთან შეერთების ორივე მხარეს ათავსებს, თუმცა სპერის და დიდის მიმართულებით ეძებს.⁵

ოლთისის-წყლის ჭროხთან შეერთების არეალში კი მდებარეობს იშხანი, ხოლო მისგან 75 კმ-ში – ბანა. ხუშა(ნი)ს სამხრეთით და ბია(ნი)ს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა არგიშტი I-ის მიერ ძვ.წ. 784 წელს მოხსენიებული ქვეყანა ულთუზა (უ-12.3).⁶ გ. მელიქიშვილის მიხედვით, ულთუზა, სამხრეთ ამიერკავკასიის ტომი, განსახლებული უნდა ყოფილიყო არარატის ველზე,⁷ ს. გოგიტიძე კი იზიარებს მოსაზრებას, რომ ულთუზა მდებარეობდა ოლთისის (დღევ. ოლთუ) ტერიტორიაზე.⁸

ამ გადმოსახედიდან თუ დავუბრუნდებით სურბ-საჰაკის წარწერას, რომელიც გვამცნობს, რომ ბიასა და ხუშანში მისვლის შემდეგ არგიშტიმ გაილაშქრა დიდის, ზუას, ქვეყნის კარის, აშკალაშის, კადას და შაშილუს წინააღმდეგ (უ-12.2), მაშინ გამოდის, რომ გეოგრაფიული არეალის თანხვედრის და ფონეტიკური მსგავსების გათვალისწინებით უ ლ თ უ ზ ა – ო ლ თ ი ს ი ს , ბ ი ა ნ ი – ბ ა ნ ა ს , ხოლო ხ უ შ ა ნ ი – ი შ ხ ა ნ ი ს არეალში მდებარეობდა, ოლთისის-წყლის ჭროხთან შეერთების ორივე მხარეს, იშხნის ეკლესიიდან – 10 კმ. რადიუსში, ოლთისიდან – 60 კმ., ბანადან – 75 კმ. და კოლადან (კულხა) – 115 კმ. ჩრდილო-დასავლეთით, ბერექეთიდან (კლარჯეთი) – 117 კმ. და

¹ გორდეზიანი, *წყაროები*, გვ. 24.

² Gordeziani, *CTU A 3-4*, გვ. 34, 36.

³ Gordeziani, *Qulha*, გვ. 242.

⁴ გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 5, 101-102. კულხახალი იმავე მკვლევარების მიერ კლარჯეთთან იგივედება (დღევ. ბერექეთი).

⁵ იქვე, გვ. 101-102.

⁶ იქვე, გვ. 105, 233; გორდეზიანი, *ანტიკური*, გვ. 28.

⁷ Меликишвили, *УКН*, გვ. 212-213, 445, 427.


⁸ გოგიტიძე, *სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს*, გვ. 233.

არტანუჯიდან – 108 კმ. სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო უზუნდერედან – 45 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით (რუკა 18).

შესაძლებელია, ბიანი-ხუშანი სამხრეთითაც და არა ჭოროხის ხეობაში ვეძიოთ: ბიანი – ბასიანის, ხოლო ხუშანი – ხორასანის არეალში, რომლებიც ერთმანეთთან 46 კმ-ით, მაგრამ უზუნდერედან, შესაბამისად, 108 კმ. და 124 კმ-ით არიან დაშორებულნი. 29 საუკუნის შემდეგ შეუძლებელია ზუსტად განსაზღვროთ თუ რომელ „ქვეყნის კარს“ გულისხმობდა არგიშთი I: იმას, რომელსაც შემდგომში ეწოდა „გურჯუ-კაპი“; ქადის მოდარაჯე „სამ კარს“; თუ იმას, რასაც დღეს ეწოდება „ენგუზეკ-კაპი“; ასევე, ძნელია იმის მტკიცება – ბიანი-ხუშანი ულდინის (დიდის, იდის) და ოლთისის სამხრეთით მდებარე ბასიანი-ხორასანის იდენტურია თუ მათ ჩრდილოეთით მდებარე ბანა-იშხანის; თუმცა, მიმაჩნია, რომ მინუას წარწერები უნდა აღწერდეს არა არზრუმის, არამედ თორთუმწყლის ხეობებში („ქვეყნებში“) ლაშქრობებს, სადაც ერთმანეთთან მიჯრით არის განლაგებული კალე-დიბის ციხე და თორთომის ციხე, ხახული და ენგუზეკის კარის ციხე (დიკიარი/აღჯაკალე), ისი-ქირაზლი და საფაჯა-ომკი, იშხანი და ბანა; შესაბამისად, ბიანი-ხუშანის (აბილიანიხი-ხუშალხის) გაიგივება უფრო რეალურია მოხდეს როგორც ჩრდილის ტბიდან, ისე ოლთისიდან უფრო ახლოს, იდი // დიდიდან დაახლოებით იმავე მანძილზე მდებარე ბანა-იშხანის არეალთან, ვიდრე ბასიან-ჰორასანის მხარესთან. თუ დავუბრუნდებით სარდური II-ის მიერ ხუშალხის დაპყრობის ტექსტს (უ-29.3), ჩნდება კითხვა: ხომ არ არსებობდა რაიმე ფონეტიკური კავშირი იშხანიდან 60 კმ-ში მდებარე ხახულსა და ხუშანის მეფე ხახანს (Хаха) შორის, რაც კიდევ უფრო გაამყარებდა მოსაზრებას იშხანისა და ხუშანის იგივეობის შესახებ?

ლ. გორდეზიანი აღნიშნავს, რომ არგიშტი ჩრდილოეთისკენ თორთომის ხეობის გავლით გაემართა, შემდეგ აღმოსავლეთისკენ, იგას (ჩილდირის ტბასთან ახლოს) და ერიაჰის (თანამედროვე გიუმრის ტერიტორიაზე) მიმართულებით შეუხვია. მარშრუტი ნამდვილად ლოგიკურია რეგიონის მთიანი ლანდშაფტების გათვალისწინებით. შესაბამისად, არგიშტის კლარჯეთი გიუმრამდე უნდა დაეღაშქრა.¹ ასეა თუ ისე, რუკაზე დატანილი არგიშთი I-ის სამხედრო ექსპედიციის დროს მოხსენიებული ჩვენთვის საინტერესო პუნქტები (რუკა 19) და ვახუშტისეული ტაოს საზღვრები (რუკა 20) *GoogleMap*-ზე შემდეგნაირად გამოიყურება:

¹ Gordeziani, *CTU A 3-4*, გვ. 34.



რუკა 18 (Map 18): ისტ. ხუშანი-ბიანა-ულთუზას განლაგების შესაძლო არეალი



რუკა 19-20 (Map 19-20): დიაუზში არგიშთი I-ის სამხედრო ექსპედიცია და ტაოს ვახუშტისეული საზღვრები (რუკა 20 ის. მომღვენო გვერდზე)



10. სად მდებარეობდა კოპისა და მოსხის მთები?

თუ საკითხს უფრო ფართო ისტორიულ-გეოგრაფიული პერსპექტივით შევხედავთ, დავინახავთ, რომ „გურჯუ-კაპის“ გავლით თორთომ-ციხესთან და ხახულთან იკვეთება აღმოსავლეთიდან ნარიმან-ოლთისის და დასავლეთიდან ისპირ-არზრუმის გზები, რომლებიც ჭოროხის გაყოლებით, შავი ზღვის სანაპირომდე აღწევს (რუკა 21).¹

1843 წელს რ. ქერზონი წერდა, რომ არზრუმიდან თორთომისკენ მიმავალ გზაზე მდებარე კლდოვანი მწვერვალიდან ჩანს სამი მდინარის სათავე, რომელთაგან ერთი (ჭოროხი, თორთომ-წყლისა და ოლთისის-წყლის შენაკადების სახით) ჩრდილოეთით და შავ ზღვაში, მეორე (არეზის/არაქსის შენაკადი, გიოქლიას უღელტეხილთნ) – კასპიის ზღვაში, ხოლო მესამე (ეფრატის შენაკადები, კარა-სუს სათავე დუმლუ სუ და სერჩამ სუ) – სამხრეთით მიედინება და სპარსეთის ყურეში ჩაედინება.² შავ ზღვასა და სპარსეთის ყურეში ჩამდინარე მდინარეების, ჭოროხისა და ეფრატის წყალგამყოფი კი „გიაურ-დალი“, ანუ „მოსხური მთების“ სამხრეთი სექტორია, სადაც მოსხის მთები იმიჯნება კოპის მთისაგან (*Kop-Dağı*). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კოპისა და მოსხის მთათა სისტემები, რომლებიც კავკასიის მინებს ანტი-ტაურუსის მთებიდან გამოყოფდა, არამარტო უძვე-

¹ ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 138.

² Curzon, *Erzeroom*; დამონმბებულია ნაშრომიდან: ქავთარაძე, *საქართველოს სახელმწიფოებრივი*, გვ. 23.

ლესი სამყაროს უდიდეს მდინარეთა, არამედ ცივილიზაციათა მნიშვნელოვან გამყოფ და „გამმიჯნავ ხაზს“ წარმოადგენდა. მათ მკვიდრთა ორი შტო კი, „ჩრდილოეთის“ მდინარეების – შავ ზღვაში ჩამდინარე ქოროხის (ოლთისის-წყლისა და თორთომის-წყლის შენაკადებითურთ) და კასპიის ზღვაში ჩამდინარე მტკვრის აუზების გასწვრივ, ათასწლეულების მანძილზე მიმდინარე მიგრაციებისა თუ კულტურათა ურთიერთ-გაცვლის პროცესში ქართული ეთნოსისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების უმთავრეს არეალად იქცა (რუკა 22). სწორედ ქოროხის დინებას უნდა უკავშირდებოდეს კოლხისის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის თანდათანობითი გადანაცვლება სამხრეთიდან (კოლა, დღევ. გოლე-ოლთუ) ჩრდილო-დასავლეთისკენ. ნავარაუდევია, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან, როდესაც ადგილი აქვს ბერძნული ახალშენების დაარსებას ჯერ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ, მოგვიანებით კი აღმოსავლეთ სანაპიროებზე, აქ არსებული დიდი პოლიტიკური წარმონაქმნის – „კოლხას“ სახელი (კოლხისი/კოლხიდის ფორმით) გადაიქცა ამ მხარეების ვრცელი ტერიტორიის ზოგად აღმნიშვნელად.¹


შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

წარმოდგენილი ვერსიით, იაზილითაშის წარწერებში მოხსენიებული დიაუხის დედაქალაქი შაშილუ იგივედება ხახულთან, შეშეთი – ოშკი-აშკალაშ/აშკისორ/საფაჯასთან, ზუა – ენგუზეკკაპი/დიკიართან, ხოლო უტუხაი – ოტხა/ქირაზლისთან; ამასთან, შაშაროზი შესაძლებელია მივიჩნიოთ შაშილუდან ადგილმონაცვლე მოსახლეობის ახალ სამოსახლოდ. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებასაც, რომ თორთუმის ციხე, მისი შემოგარენით (სასირე, დღევ. *Kemer kaya-Esendurak*, სოხთოროთი, დღევ. *Doruklu* და ექექი, დღევ. *Vişneli*), ასია მეფის დროინდელი დაიანის უცნობი დედაქალაქი იყო, მაშინ ურარტუს მეფე მინუას დიაუხში სამხედრო ექსპედიციის არეალი *google-map*-ის განზომილებაში შემდეგნაირად გამოიყურება (რუკა 23).

ამ გადმოსახედიდან არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მას შემდეგ, რაც ახ.წ. X საუკუნეში ყოფილი დიაუხის ყველა ეს ზემოხსენებული ტერიტორია დავით III კურაპალატის სამფლობელოში მოექცა და სამეფოს ჩამკეტის ფუნქცია მოსხისა და კოპის მთავრეხილებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით კვლავ თორთომისა და აღჯა-ყალეს (ენგუზეკ-კაპის) ციხეებს დაეკისრათ, ხოლო მთავარი სავაჭრო და სასიცოცხლო არტერია ქოროხის ერთ-ერთმა შემავსებელმა თორთომ-წყალმა და გურჯუ-კაპიმ დაიბრუნა, ბაგრატოვანთა სატახტო ქალაქ ოლთისიდან და ოლთისის-წყლის ბანას კათედრალიდან მას სწორედ თორთომის ხეობაში, ისტორიულ ტაოში, ძველი დიაუხის ცენტრების ნაფუძარზე აეგოს უმთავრესი ქრისტიანული ტაძრები, რომლებიც შუა საუკუნეებში ქვეყ-


¹ მელიქიშვილი, *საქართველოში კლასობრივი*, გვ. 87-88; ხაზარაძე, *საქართველოს ძველი ისტორიის*, გვ. 189; ქავთარაძე, *უძველესი ტაო*, გვ. 140.

ნის ძლიერებას განასახიერებდნენ: ხახული, ოშკი, იშხანი, ოთხთა, პარხალი (რუკა 24).¹




რუკა 21 (Map 21): GoogleMap-ზე დატანილი შავი ზღვის სანაპიროდან არზრუმისკენ მიმავალი ისტ. გზა


¹ თორთომის ერთ-ერთი პირველი სრული აღწერით, რომელიც 1674 წლამდე უნდა ჩატარებულიყო, მხარე 4 ნაპიესგან შედგებოდა (თორთომის, ლისკავის, ახჩირიქის – თითოეული 15 სოფლით, და ხახულის, რომელიც 27 სოფელს აერთიანებდა. პირველ სამ ნაპიეში შემავალ 45 სოფელში აღწერილი 2749 კომლიდან ქრისტიანი იყო 2709 და მხოლოდ 40 – მუსლიმი; მ.შ., ჩვენს მიერ ხსენებულ დასახლებებში საერთო კომლების თანაფარდობა ქრისტიანულთან იყო შემდეგი: სოფ. თორთომი (დედაციხე, რაბათი და ეკლესია) – 168:168; სოფ. სოხთოროთი – 53:53; სოფ. ექიქი – 93:85. ხახულის ნაპიეს 27 სოფელში 3473 კომლიდან კი 3406 იყო ქრისტიანული და მხოლოდ 67 – მუსლიმი; მ.შ., სოფ. ხახული (ჰაჰო) – 312:312; სოფ. ვიხიქი – 281:281; სოფ. უნგუზექი (ენგუზექი) – 142:139; სოფ. აზორტი (უზორტი) – 243:241; სოფ. ოსეთი – 85:85; სოფ. ოთხა – 69:69; სოფ. ისი – 58:58; სოფ. ოშკი – 233:231; სოფ. (ოშკი) ვანქი – 178:175; სოფ. ეშქისორი (აშქისორი) – 126:126 (შაშიკაძე, კარალიძე, ტაოს ისტორიიდან, გვ. 91-96).



რუკა 22 (Map 22): GoogleMap-ზე დატანილი კოპისა და მოსხის მთათა სისტემები



რუკა 23 (Map 23): GoogleMap-ზე დატანილი ურარტუელთა ლაშქრობის სავარაუდო მარშრუტი დიაუხში



რუკა 24 (Map 24): GoogleMap-ზე დატანილი დავით III კურაპალატის დროინდელი ცენტრები

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა Cited Sources and Literature

ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა – ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973*

(Batonishvili Vakhushti, Description – Batonishvili Vakhushti, *Description of the Kingdom of Georgia*, „The Georgian Chronicles“, Vol. IV, The text is established from all major manuscripts by S. Qaukhchishvili, Tbilisi, 1973).

გორდეზიანი, ანტიკური – *ანტიკური კავკასია*, ენციკლოპედია, გორდეზიანი რ., ტ. 1, წყაროები, თბილისი, 2020

(Gordeziani, Antiquus – Gordeziani R., *Caucasus Antiquus*, Encyclopedia, Vol. 1, Sources, Tbilisi, 2020).

გორდეზიანი, ურარტული წარწერა – *ურარტული წარწერა ხანაკიდან, ურარტულიდან თარგმ. ლ. გორდეზიანმა*, „აღმოსავლეთმცოდნეობა “Oriental Studies”, გიორგი ნერეთლის საიუბილეო კრებული, №3, 2014, გვ. 331-336

(**Gordeziani, *Uartian Inscription*** – *Uartian Inscription from Hanak*, Transl. from Uartian by Gordeziani L., “Oriental Studies”, Giorgi Tsereteli Jubilee Collection, No. 3, 2014, pp. 331-336).

გორდეზიანი, წყაროები – გორდეზიანი ლ., *ძველადმოსავლური წყაროები*, წიგნში: „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, ტ. 1, წყაროები, თბილისი, 2010

(**Gordeziani, *Sources*** – Gordeziani L., *Ancient Near Eastern Sources*, In: “Caucasus Antiquus”, Encyclopaedia Disciplina, Volumen I, Fontes, Tbilisi, 2010).

ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, I – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXVIII), თბილისი, 1971

(***Evliya Çelebi, Book of Travel, I*** – Evliya Çelebi, *Book of Travel*, Translated from Turkish, with commentary and research by G. Puturidze, Part I, Georgian translation [Foreign Sources on Georgia, Book XXVIII], Tbilisi, 1971).

ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, II – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXX), თბილისი, 1973

(***Evliya Çelebi, Book of Travel, II*** – Evliya Çelebi, *Book of Travel*, Translated from Turkish, with commentary and research by G. Puturidze, Part II [Foreign Sources on Georgia, Book XXX], Tbilisi, 1973).

შენგელია, დავთრები – *ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ – XVI-XVIII საუკუნეები*, შემდგენელი, მთარგმნელი და გამომცემელი შენგელია ნ., თბილისი, 2013

(***Shengelia, Books*** – *Ottoman Extensive and Short Books on Tao-Klarjeti – 15th-18th centuries*, Edited, translated and published by Shengelia N., Tbilisi, 2013).

ჩილდირის ვილაიეთის – *ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი 1694-1732 წწ.*, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბილისი, 1979

(***Childir Vilayet*** – *Childir Vilayet Jaba Defter, 1694-1732*, The Turkish text, with its Georgian translation, was prepared for publication by Ts. Abuladze, Research by M. Svanidze, Tbilisi, 1979).

ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის – *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*, III, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი, 1958

(***Jikia, Gurjistan Villayet*** – *A Great Book of the Gurjistan Villayet*, III, Turkish text published, translated, commented and studied by Jikia S., Tbilisi, 1958).

Adları – *Son Teskilat-i Mülkiyede Köylerimiz Adları* (Osmanlıca), İstanbul, 1928

(***Names*** – *Names of Our Villages in the Last Civil Organization [Ottoman]*, İstanbul, 1928).

- Salvini, *Corpus*** – Salvini M., *Das Corpus der urartäischen Inschriften*, “The Proceedings of the Symposium held in Munich, 12-14 October 2007”, Ed. by Kroll S., Gruber C., Hellwag U., Roaf M., Zimansky P., 2012, pp. 111-134
- (**Salvini, *Corpus*** – Salvini M., *The Corpus of Urartian Inscriptions*, In: “The Proceedings of the Symposium held in Munich, 12-14 October 2007”, Ed. by Kroll S., Gruber C., Hellwag U., Roaf M., Zimansky P., 2012, pp. 111-134).
- Salvini, *CTU*** – Salvini M., *Corpus dei testi urartei (CTU)*, 3 ტ., CNR, Istituto di studi sulle civiltà dell’Egeo e del Vicino Oriente, Roma, 2008
- (**Salvini, *CTU*** – Salvini M., *Corpus of Urartian Texts [CTU]*, 3 vol., CNR, Institute for studies on the civilizations of the Aegean and the Near East, Rome, 2008).
- Tsereteli, *Sardurs*** – Tsereteli M., *Die neuen haldischen Inschriften König Sardurs von Urartu (um 750 v. Chr.), Ein Beitrag zur Entzifferung des Haldischen* (Sitzungsberichte der Heidelberger Akademie der Wissenschaften, Philosophisch-Historische Klasse, Bd. XVIII, Jahrgang 1927-1928), Heidelberg, 1928
- (**Tsereteli, *Sardur*** – Tsereteli M., *The New Khaldic Inscriptions of King Sardur of Urartu [around 750 BC], A contribution to the Decipherment of Khaldic* [Proceedings of the Heidelberg Academy of Sciences, Philosophical-Historical Class, Vol. XVIII, Year 1927-1928], Heidelberg, 1928).
- Արუտյոյան, *КУКН*** – Արუտյոյան Н. В., *Корпус Урартских Клинообразных Надписей*, Ереван, 2001
- (**Harutyunyan, *Corpus of Urartian Cuneiform Inscriptions*** – Harutyunyan N.V., *Corpus of Urartian Cuneiform Inscriptions*, Erevan, 2001).
- Меликишвили, *УКН*** – Меликишвили Г. А., *Урартские Клинообразные Надписи*, Москва, 1960
- (**Melikishvili, *Urartian Cuneiform Inscriptions*** – Melikishvili G. A., *Urartian Cuneiform Inscriptions*, Moscow, 1960).
- აბულაძე, საქართველოსა და მისი პოლიტიკური** – აბულაძე ც., *საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში*, წგნ.: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993
- (**Abuladze, *Georgia and Its Political*** – Abuladze T., *The Designation of Georgia and Its Political Entities in Ottoman Written Sources*, In: „Foreign and Georgian terminology denoting Georgia and Georgians“, Tbilisi, 1993).
- ასათიანი, აიეტის** – ასათიანი შ., *აიეტის სამეფო*, „საერთაშორისო ქართველოლოგიური კონფერენციის მასალები“, თბილისი, 2011, გვ. 130-133
- (**Asatiani, *Aietes*** – Asatiani Sh., *The Kingdom of Aietes*, “Proceedings of the International Kartvelological Conference”, Tbilisi, 2011, pp. 130-133).
- გივიაშვილი, კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი** – გივიაშვილი ი., *კოპლატაძე ი., ტაო-კლარჯეთი*, თბილისი, 2004
- (**Giviashvili, *Koplatadze, Tao-Klarjeti*** – Giviashvili I., *Koplatadze I., Tao-Klarjeti*, Tbilisi, 2004).

გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს – გოგიტიძე ს., სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათუმი, 2002

(Gogitidze, South-Western Georgia – Gogitidze S., Historical Geography of South-Western Georgia [12th-4th centuries BC], Batumi, 2002).

გორდეზიანი, ლურსმული – გორდეზიანი ლ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით), „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: საქართველო – უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა), უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები“, ბათუმი, 25-28 ივნისი, 2018, რედ.: კახიძე ა., ტატიშვილი ი., თბილისი, 2019, გვ. 176-185

(Gordeziani, Cuneiform – Gordeziani L., On the Ethnic Picture of South-West Georgia in Cuneiform Texts, “Materials of the International Scientific Conference: Georgia – Ancient Metallurgical Hearth [Adjara], Latest Discoveries, Contacts with Eastern Civilizations, Innovations, Perspectives”, Batumi, June 25-28, 2018, Ed.: Kakhidze A., Tatishvili I., Tbilisi, 2019, pp. 176-185).

ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება – ვაჩნაძე ნ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1975

(Vachnadze, The Life of Serapion of Zarzma – Vachnadze N., The Life of Serapion of Zarzma as a Historical Source, Tbilisi, 1975).

ინგოროყვა, გიორგი მერჩულე – ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბილისი, 1954

(Ingorokva, Giorgi Merchule – Ingorokva P., Giorgi Merchule, Georgian Writer of the 10th century [Essay from the history of literature, culture and state life of ancient Georgia], Tbilisi, 1954).

კობრეიძე, ოსმალეთის – კობრეიძე დ., ოსმალეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 1918 წელს, ძნ, XVII-XVIII, 2015/2016, გვ. 55-62

(Kokhreidze, Ottoman – Kokhreidze D., Ottoman Aggression against Georgia in 1918, “Kartuli Ts’q’arotmtsodneoba” [“Georgian Source-Studies”], XVII-XVIII, 2015/2016, pp. 55-62).

კუფტინი, საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონიმიკის – კუფტინი ბ., საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონიმიკის ზოგიერთ გაურკვეველ შემთხვევაზე უცხო წყაროებით, სმამ, ტ. X, №5, 1949, გვ. 315-322

(Kuftin, Ancient Georgian ethno- and toponymy – Kuftin B., On Some Unclear Cases of Ancient Georgian Ethno- and Toponymy based on Foreign Sources, “Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR”, Vol. X, No. 5, 1949, pp. 315-322).

მაისურაძე, აღმოსავლურქართულ ტომთა კვალი – მაისურაძე გ., აღმოსავლურქართულ ტომთა კვალი ძვ. წ. XII საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (ერთი ტოპონიმის იდენტიფიკაციის მაგალით-

ზე), „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები“, რედ. გ. ალასანია, თბილისი, 1991, გვ. 18-22

(**Maisuradze, *Traces of Eastern-Georgian Tribes*** – Maisuradze G., *Traces of Eastern-Georgian Tribes on the Territory of South-Western Transcaucasia in the 12th Century BC (on the example of identification of one toponym)*, “Historical-Source Studies”, Ed. G. Alasania, Tbilisi, 1991, pp. 18-22).

მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს – მელიქიშვილი გ., *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები*, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I (საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე), ტომის რედ. მელიქიშვილი გ., თბილისი, 1970, გვ. 358-391

(**Melikishvili, *South-Western Georgia*** – Melikishvili G., *Ancient Unions of the Population of South-Western Georgia*, In: “Essays on the History of Georgia”, Vol. I [Georgia from the Ancient Times to the 4th Century AD], Ed. Melikishvili G., Tbilisi, 1970, pp. 358-391).

მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი – მელიქიშვილი გ., *საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის*, თბილისი, 1955

(**Melikishvili, *Class Society in Georgia*** – Melikishvili G., *On the Issue of the Formation of a Class Society and State in Georgia*, Tbilisi, 1955).

მელიქიშვილი, ურარტუს სამეფო – მელიქიშვილი გ., *ურარტუს სამეფო, ურარტული წყაროები*, „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“, რედ.: გიორგაძე გრ., თბილისი, 1990, გვ. 269-295

(**Melikishvili, *Kingdom of Urartu*** – Melikishvili G., *Kingdom of Urartu, Urartian Sources*, “Collection of Texts on the History of the Peoples of Ancient East”, Ed.: Giorgadze G., Tbilisi, 1990, pp. 269-295).

მელიქიშვილი, უძველესი სამეფო – მელიქიშვილი გ., *უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე*, „მიმომხილველი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, II, 1951, გვ. 203-230

(**Melikishvili, *Ancient Kingdom*** – Melikishvili G., *Ancient Kingdom on the Territory of Southern Georgia*, “Mimomkhilveli”, Ivane Javakhishvili Institute of History of the Georgian SSR Academy of Sciences, II, 1951, pp. 203-230).

სამუშია, თორთომის ციხე – სამუშია ჯ., *თორთომის ციხე*, „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“, გ. ბაგრატიონის, ბ. კუპატაძის, ჯ. სამუშიას რედაქციით, ტ. III (ტაოს ფორტიფიკაციები), თბილისი, 2020, გვ. 69-103

(**Samushia, *Tortom Fortress*** – Samushia J., *Tortom Fortress*, In: “Fortifications of Tao-Klarjeti”, Edited by G. Bagrationi, B. Kupatadze and J. Samushia, Vol. III, Tbilisi, 2020, pp. 69-103).

ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, ტაოს ონომასტიკა – ფალავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., *ტაოს ონომასტიკა*, „ტაო“, ნაწილი პირველი, რედ.: ფალავა მ., ბათუმი, 2020, გვ. 783-872

(Paghava, Tsintsadze, Baramidze, *Onomastics of Tao* – Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., *Onomastics of Tao*, “Tao”, Part One, Ed.: Paghava M., Batumi, 2020, pp. 783-872).

ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი – ქავთარაძე გ., *საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (ადრეული ხანიდან)* [კავკასიოლოგიური სერია, II], თბილისი, 2006

(Kavtaradze, *Georgian Statehood* – Kavtaradze G., *Issues of the Development of Georgian Statehood [from Ancient Times]* [Caucasiological Series, II] Tbilisi, 2006).

ქავთარაძე, ტაოხთა – ქავთარაძე გ., *ტაოხთა უძველესი ქვეყანა და ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები*, „ენა და კულტურა = Sprache und Kultur“, 5-6, 2005, გვ. 92-114

(Kavtaradze, *Taokhs* – Kavtaradze G., *The Ancient Country of the Taokhs and the Origins of Georgian Statehood*, “Language and Culture = Sprache und Kultur”, 5-6, 2005, pp. 92-114).

ქავთარაძე, უძველესი ტაო – ქავთარაძე გ., *უძველესი ტაო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით*, „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში“, რედ.: ჩანტლაძე ი., სოსელია ე., მგელაძე ნ., ბათუმი, 2011, გვ. 133-144

(Kavtaradze, *Ancient Tao* – Kavtaradze G., *Ancient Tao from the Perspective of Historical Geography*, “Linguo-Cultural Researches, First International Conference in Linguo-Cultural Studies and Anthropology”, Ed.: Chantladze I., Soselia E., Mgeladze N., Batumi, 2011, pp. 133-144).

შაშიკაძე, კარალიძე, ტაოს ისტორიიდან – შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., *ტაოს ისტორიიდან*, „ტაო“, ნაწილი პირველი, რედ.: ფალავა მ., ბათუმი, 2020, გვ. 11-113

(Shashikadze, Karalidze, *From the History of Tao* – Shashikadze Z., Karalidze J., *From the History of Tao*, “Tao”, Part One, Ed.: Paghava M., Batumi, 2020, pp. 11-113).

ჩიქობავა, აზორდის ციხე – ჩიქობავა ა., *აზორდის ციხე*, „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“, გ. ბაგრატიონის, ბ. კუპატაძის ჯ. სამუშაოს რედაქციით, ტ. III (ტაოს ფორტიფიკაციები), თბილისი, 2020. გვ. 7-12

(Chikobava, *Azordi Fortress* – Chikobava A., *Azordi Fortress*, “Fortresses of Tao-Klarjeti”, Edited by Bagrationi G., Kupatadze B., Samushia J., Vol. III [Fortifications of Tao], Tbilisi, 2020, pp. 7-12).

ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია – ცეცხლაძე ნ., *შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია*, ბათუმი, 2000

(Tsetskhladze, *Shavshet-Imerkhevi Toponymy* – Tsetskhladze N., *Shavshet-Imerkhevi Toponymy*, Batumi, 2000).

ხაზარადე, საქართველოს ძველი ისტორიის – ხაზარადე ნ., *საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხვები)*, თბილისი, 1984 (**Khazaradze, Ancient History of Georgia** – Khazaradze N., *Ethnopolitical Problems of the Ancient History of Georgia [the Moskhs]*, Tbilisi, 1984).

ხუციშვილი (და სხვა), ტაო-კლარჯეთის ძეგლების – ხუციშვილი თ., გოზალიშვილი ბ., იმედაშვილი ა., კოლუაშვილი შ., მაისურაძე დ., ნიქარიშვილი ლ., *ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2016 წლის საკვლევო ექსპედიციების ანგარიშები*, თბილისი, 2017

(**Khutsishvili [et al.], Tao-Klarjeti Monuments** – Khutsishvili T., Gozalishvili B., Imedashvili A., Koghuashvili Sh., Maisuradze D., Tsikarishvili L., *Reports of the 2016 Research Expeditions of Tao-Klarjeti Monuments*, Tbilisi, 2017).

ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი – ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორიის შესავალი*, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950

(**Javakhishvili, Introduction to the History of the Georgian Nation** – Javakhishvili Iv., *Introduction to the History of the Georgian Nation, Book One, Historical and Ethnological Problems of Georgia, the Caucasus and the Near East*, Tbilisi, 1950).

Atabeyoğlu, Erzurum – Atabeyoğlu Ö., *Reflections of 1904's Erzurum to current Erzurum*, Ordu University, Ordu, Turkey, Vol. 13, N2, July 2016, გვ. (pp.) 157-173. file:///C:/Users/User/Downloads/ITUJFA-41713-THEORY_ARTICLES-ATABEYOGLU.pdf (Accessed: 04.04.24).

Clavjo, Embassy to Tamerlane 1403-1406 – Clavjo R. G., *Embassy to Tamerlane 1403-1406*, Trans. Le Strange G., New York, London, 1928.

Curzon, Erzeroom – Curzon R., *Armenia. A Year at Erzeroom, and on the Frontiers of Russia, Turkey, and Persia*, London, 1854.

Diakonoff, Kashkai, Geographical Names – Diakonoff I. M., Kashkai S. M., *Geographical Names According to Urartian Texts*, “Répertoire Géographique des Textes Cunéiformes”, IX. Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B (Geographic Repertoire of Cuneiform Texts, Supplement to Tübingen Atlas of the Near and Middle East, Part B), N7, Wiesbaden, 1981.

Diakonoff, The Pre-History – Diakonoff I. M., *The Pre-History of the Armenian People*, Translated from the Russian by Lori Jennings, With revisions by the Author, Delmar, New York, 1984.

Dinçol A. M., Dinçol B., Die Urartäische Inschrift – Dinçol A.M., Dinçol B., *Die Urartäische Inschrift aus Hanak (Kars)*, “Hittite and other Anatolian and Near Eastern Studies in Honour of Sedat Alp”, Ed.: Otten H., Akurgal E., Ertem H., Süel A., Ankara, 1992, გვ. (pp.) 109-117

(**Dinçol A. M., Dinçol B., The Urartian Inscription** – Dinçol A.M., Dinçol B., *The Urartian Inscription from Hanak [Kars]*, “Hittite and other Anatolian and Near Eastern Studies in Honor of Sedat Alp”, Ed.: Otten H., Akurgal E., Ertem H., A. Süel, Ankara, 1992, გვ. [pp.] 109-117).

Erzurum Kapıları – Erzurum Kapıları, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı, Erzurum İl Kültür ve Turizm Müdürlüğü, 21.01.2009. <https://erzurum.ktb.gov.tr/TR-273913/erzurum-kapilari.html> (გადამოწმების თარიღი: 04.04.24)

(**Gates of Erzurum – Gates of Erzurum**, Ministry of Culture and Tourism of the Republic of Turkey, Erzurum Provincial Directorate of Culture and Tourism, 21.01.2009. <https://erzurum.ktb.gov.tr/TR-273913/erzurum-kapilari.html> [Accessed: 04.04.24]).

Gordeziani, CTU A 3-4 – Gordeziani L., *To the Interpretation of CTU A 3-4*, “Phasis: Greek and Roman Studies”, 13-14, 2010-2011, გვ. (pp.) 31-41.

Gordeziani, Qulḥa – Gordeziani L., *Some Remarks on Qulḥa*, “Over the Mountains and Far Away”, Studies in Near Eastern History and Archaeology presented to Mirjo Salvini on the occasion of his 80th birthday, Ed. by Avetisyan P. S., Dan R., Grekyan Y. H., Oxford, 2019, გვ. [pp.] 241-244.

Gordeziani, Traces – Gordeziani L., *Traces of a Treaty in an Urartian Text?*, In: “Acts of the IXth International Congress of Hittitology”, 08-14.09.2014, Ed. by Hazırlayan Y., Süel A., Çorum, 2019, t. (Vol.) 1, გვ. (pp.) 317-324.

Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries – Djobadze W., *Early Medieval Georgian Monasteries*, Stuttgart, 1992.

Dündar, Erzurum Beylerbeyliği – Dündar Aydın, *Erzurum Beylerbeyliği ve Teskilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566)*, Ankara, 1998

(**Dündar, Erzurum Governorship – Dündar A.**, *Erzurum Governorship and its Organization, The Period of Establishment and Expansion [1535-1566]*, Ankara, 1998).

Gedevanishvili, The Khakhuli Dome Decoration – Gedevanishvili E., *The Khakhuli Dome Decoration: Eschatological and Historical Context*, “Convivium Supplementum. Georgia as a Bridge between Cultures Dynamics of Artistic Exchanges”, Brno, 2021/1, გვ. (pp.) 45-63.

Gviashvili, Oshki: Architecture and Historic Context – Gviashvili I., *Oshki: Architecture and Historic Context*, In: Işıklı M., Akarsu R., Yavuz E., Yurttaş E., (Eds.), “Tarih boyunca Anadolu-Gürcistan ilişkileri sempozyumu: Anadolu-Kafkasya ilişkileri araştırmaları dizisi”, 1, 2018 (Symposium on the History of Anatolian-Georgian Relations: Anatolian-Caucasian Relations Studies Series 1, 2018), Ankara, 2020, გვ. (pp.) 321-338.

Hewsen, The Geography – Hewsen R. H., *The Geography of Ananias of Sirak (Ašxarhaç’oyc’)*, *The Long and Short Recensions*, Introduction, Translation and Commentary by R. H. Hewsen (Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients, Reihe B [Supplement to Tübingen Atlas of the Near and Middle East, Part B] Nr. 77), Wiesbaden, 1992.

König, Handbuch der chaldäischen Inschriften I – König F. W., *Handbuch der chaldäischen Inschriften*, I, Graz, 1955

(**König, Handbook of Chaldean Inscriptions I – König F. W.**, *Handbook of Chaldean Inscriptions*, I, Graz, 1955).

König, *Handbuch der chaldischen Inschriften II* – König F. W., *Handbuch der chaldischen Inschriften*, II, Graz, 1957

(**König, *Handbook of Chaldean Inscriptions II*** – König F. W., *Handbook of Chaldean Inscriptions*, II, Graz, 1957).

Rayfield, *A History of Georgia* – Rayfield D., *Edge of Empires, A History of Georgia*, London, 2012.

Tapu Tahrir Defteri – *Tapu Tahrir Defteri*, Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi. TÜİK 2017 – TÜİK 31 Ocak 2017 Verileri. <https://tr.wikipedia.org/wiki/Uzundere> (გადამონმეების თარიღი: 16.04.24)

(***Land Registry Book*** – *Land Registry Book*, Ankara General Directorate of Land Registry and Cadastre Archive. TURKSTAT 2017 – TURKSTAT 31 January 2017 Data. <https://tr.wikipedia.org/wiki/Uzundere> [Accessed: 16.04.24]).

Бакрадзе, *Археологическое Путешествие* – Бакрадзе Д., *Археологическое Путешествие по Гурии и Адчаре*, Санкт-Петербург, 1878

(**Bakradze, *Archaeological Journey*** – Bakradze D., *Archaeological Journey through Guria and Adchara*, St. Petersburg, 1878).

Военно-топографическая пятиверстная карта – *Военно-топографическая пятиверстная карта Кавказского края 1926 года*. <https://shorturl.at/qg1ek> (გადამონმეების თარიღი: 04.04.24)

(***Military topographic five-verst map*** – *Military topographic five-verst map of the Caucasus region of 1926*. <https://shorturl.at/qg1ek> [Accessed: 04.04.24]).

Государство Урарту. Атлас – *Государство Урарту и сопредельные страны в VIII-VII вв. до н. э.*, “Атлас Армянской Советской Социалистической Республики”, Ереван-Москва, 1961. <https://shorturl.at/q8jzB> (გადამონმეების თარიღი: 11.09.24)

(***The State of Urartu. Atlas*** – *The State of Urartu and adjacent countries in the VIII-VIIth centuries BC*, “Atlas of the Armenian Soviet Socialist Republic”, Yerevan, Moscow, 1961. <https://shorturl.at/q8jzB> [Accessed: 11.09.24]).

Карта Кавказского военного округа 1903 года – *Карта Кавказского военного округа 1903 года*. http://www.etomesto.ru/map-kuban_1903/ (გადამონმეების თარიღი: 04.04.24)

(***Map of the Caucasian Military District of 1903*** – *Map of the Caucasian Military District of 1903*. http://www.etomesto.ru/map-kuban_1903/ [Accessed: 04.04.24]).

Меликишвили, *К истории древней Грузии* – Меликишвили Г. А., *К истории древней Грузии*, Тбилиси, 1959

(**Melikishvili, *On the History of Ancient Georgia*** – Melikishvili G. A., *On the History of Ancient Georgia*, Tbilisi, 1959).

Меликишвили, *Наири-Урарту* – Меликишвили Г. А., *Наири-Урарту*, Тбилиси, 1954

(**Melikishvili, *Nairi-Urartu*** – Melikishvili G. A., *Nairi-Urartu*, Tbilisi, 1954).

**In the Footsteps of the Diauehi Kingdom:
Medieval Georgian Centers in Historical Tao**

Summary

The present paper aims to identify revised locations of Shashilu, Shesheti, Zua(ni), Utukhai, Ashkalashi, Bia(ni), Khusha(ni), Ultuza, Uldini (Didi), Kada (Qada), the Country Gate, Khushalkhi, and Kulkha – ancient cities and centers of the Diauehi (Diaokhi) Kingdom, as recorded on cuneiform tablets of the Urartian kings Menua, Argishti I (son of Menua), and Sarduri II (son of Argishti I). Drawing on an analysis of historical sources and research, a comparison of toponyms found in historical atlases and online satellite maps (Google Maps), as well as multiple field visits conducted between 2016 and 2018, this article attempts to localize each of the aforementioned cities or ‘countries’ of Diauehi, along with the ‘Georgian Gate’ (Gürcü-Kapı), the ‘Three Gates’ (Sami-kari), and the ‘Engüzek Gate’ (Engüzek-kapı), within the gorges of the Tortum-Su (Tortumists’q’ali, Tortum Çayı) and the Oltu-Su (Oltisis Ts’q’ali, Oltu Çayı) rivers. In particular, Shasharoz, the name of an unidentified chapel discovered in 2016 south of Uzundere (Tortum Gorge), with Georgian lapidary inscriptions, probably from the 10th century, bears a resemblance to that of the ancient Diauehi capital, Shashilu: Shashilu // Shashilo // Shashalo // Shasharo-z.

Mapping of ancient cities also showed that the geography of Urartian military campaigns coincides with an important trade route, which passed from Erzurum through the Georgian Gates, Tortum-Su, Oltu-Su and the Ch’orokhi river and continued to Sarpi, the modern Georgian-Turkish border, which corresponds to the theories of the settlement of Colchis from the southeast (presumably, from Kola) in the Black Sea region. Moreover, the studies also indicate that David III Kouropalates, the 10th-century King of Georgia, who resided at Oltu Castle with its religious center at Bana (Oltu Gorge), had to build the main Christian centers in the Tortum Gorge (Khakhuli, Oshki, Ishkhani, Otkhta, Parkhali), all in the immediate vicinity of old Diauehi cities which, after the reintegration of Tortum into the medieval Georgian Kingdom of Tao, epitomised the country’s strength and power.

Viewed from a broader historical and geographical perspective, one can observe that from the rocky heights along the road from Erzurum to Tortum, the headwaters of three major rivers are visible. One of these – the Ch’orokhi (via its tributaries, the Tortum-Su and Oltu-Su) flows northward into the Black Sea; the Araks (Aras), which has one of its sources in the Gioklia Pass and flows into the Caspian Sea following a confluence with the Kura (Mtkvari) River; the Dumlu-Su, Kara-Su and Sercham-Su, which join the Euphrates, flowing southwards into the Persian Gulf. Therefore, the

Moskhi Mountains, in conjunction with the Kop Mountains, which demarcate its southern border from the Anti-Taurus Mountains, constitute a pivotal watershed not only for the aforementioned rivers but also for the ancient civilisations. Two branches of its inhabitants, along the basins of the Ch'orokhi and Kura rivers, played a significant role in the formation of the Georgian ethnos and its statehood over millennia of migrations, wars and peace, trade and mutual exchange.

Illustrations

Map 1: The route of the 2018 expedition delineated on a Google Map.

Map 2: The 1961-year Atlas of the Armenian SSR. Fragment of a map of Urartu of the 8th-7th cc BC.

Map 3: Fragment of D. Bakradze's 1878-year map.

Map 4: Fragment of the 1926-year "five-verst" military-topographic map of the Caucasus.

Map 5: Uzundere-Enguzekkapi-Kakhuli-Tortumkale area, as identified on a Google Map.

Map 6: Khakhuli-Tortumkale-Tortum area, as identified on a Google Map.

Map 7: Tortumkale-Kakhuli-Ersisi (Peterek) area, as identified on a Google Map.

Map 8: The Oshki-Uzundere-Shasharoz road, as identified on a Google Map.

Map 9: The geographic locations of the Erikli, Eski-Kilise, Shasharoz and Dilgesor chapels in present-day Uzundere, as identified on a Google Map.

Map 10: Fragment of the 1903-year road map of the Caucasus.

Map 11: Fragment of the 1926-year "five-verst" military-topographic map of the Caucasus.

Map 12: Khakhuli-Dikiar-Enguzek-Sapaca-Khirazli-Oshki area, as identified on a Google Map.

Map 13: Fragment of the 1903-year road map of the Caucasus.

Map 14: The geographic area of the Kaledibi plateau, as identified on a Google Map.

Map 15: The geographic location of the historic Kada, Narman and the Sami-Kari, as identified on a Google Map.

Map 16-17: The geographic location of the Gürcü-Kapı (Georgian Gate), the Giaur-Dag and the Kandil-Karakale, as identified on the 1903-year road map and a Google Map.

Map 18: The possible locations of the historic Khushani, Biana and Ultuza, as identified on a Google Map.

Map 19: The possible route of a military expedition of Argishti I to Diauehi (Diaokhi), as identified on a Google Map.

Map 20: The frontiers of historic Tao, as described by Vakhushti Bagrationi (18th century AD) and identified on a Google Map.

Map 21: A historic road from Sarpi (the Black Sea coast) to Erzurum, as identified on a Google Map.

Map 22: The Kop and Moskhi Mountains, as identified on a Google Map.

Map 23: The possible route of a military campaign of the Urartian King Menua to Diauehi (Diaokhi) Kingdom, as identified on a Google Map.

Map 24: The geographic locations of main centers built in the reign of David III Kouropalates in historic Tao Kingdom, as identified on a Google Map.

Fig. 1-2. Ağca-Kale of Uzundere, same as Engüzekekapi-Kalesi. T. Koplatadze. 2018.

Fig. 3-4. Georgian inscriptions of Shasharozi church. I. Giviashvili. 2016.